

1946

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი



N 10

ს. ო. ნ. ე. ნ. ო



პ ი თ ნ ე რ ი

საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის
ცენტრალური კომიტეტის შოკვლთვიური საბავშვო შუბნალი.

1946 წელი

წელიწადი მ ე ლ ც ე

ბამომცემლობა „კომუნისტი“

№ 10

ოქტომბერი

გალაქშიონ ვაზიძე

საქართველოს სახალხო პოეტი

ა დ ა მ ი ა ნ ი

სამშობლოსადმი ერთგული,
მუხებად შემონერგული,
სიმართლისათვის — ვით გული,
იწოდა —

ადამიანი!

* *

ცოდნისთვის — არა საკვებნად —
რომ მხნედ ეთესათ და ეხნათ
უხსოვარ დროით ამ ქვეყნად
იბრძოდა —

ადამიანი!

* *

ახლა ცის ლაყვარდს სხივოსანს,
მშვენიერ მზით გვირგვინოსანს,
ამ მიწას, ამ ზღვას ვინ ჰფლობს ან
ვინ ჰფლობდა? —

ადამიანი!

* *

ახალგაზრდობა ცეცხლსა ჰგავს,
ანათებს, ათბობს, იწვის, სწვავს...
ნუ დაიმდაბლებს მტრის წინ თავს
გმირი და

ადამიანი!



ქართველი ბავშვების ბარათი გერმანიაში

ჩვენს გულითად სალამს გიძღვნით საქართველოს აღმშენებელს,
სხვა ვინ არის, რომ ეს სიტყვა, თქვენზე უფრო ამშვენებდეს?!

...საქართველოს ბევრი ახსოვს, ჩვენ გვასწავლეს პატარებსა: —
მტერმა ბევრჯერ მოისურვა, რომ უღლის ქვეშ დაგვეყენესა.

მტერმა ბევრჯერ ააოხრა ჩვენი წმინდა მიწა-წყალი,
მაგრამ ხალხში ღვივდებოდა მომავალის ნაპერწყალი.

ბევრი ახსოვს საქართველოს... მოველინა გმირთა-გმირი,
ქვეყნის ბედი გადასწყვიტა, ხალხს აშორა გასაჭირა.

თქვენ, მის ღრმის ეზიარეთ, გამოხატეთ მისი ნება,
გადასწყვიტეთ სულ ახალი საქართველოს აშენება.

რაც აკეთეთ, რითაც ახლა საქართველომ იგრძნო შეება,
იმ სიმტკიცემ ჩვენს ქვეყანას მოუტანა გამარჯვება.

ახლაც თქვენი ხელი ზრუნავს, ჩვენი ხალხის სასახელოდ.
თქვენს დიდ ამავს, არასოდეს დაივიწყებს საქართველო.

...ქართლში როცა ჰყავის გორი, ყვავილებით დათოვლალი.
ის კითხულობს: — არ გინახავთ, გმირი თქვენკენ ჩამოვლილი?

მთაში როცა მწყემსი მღერას, მთებს გასძახებს ვაჟაკურად —
— ჩვენი დიდი მშენებელი, არ გინახავთ? არ მოსულა?!

თბილისშიაც პატარა ხეს, როცა არხევს ნაზი სიო,
ისიც თქვენზე ფაქრობს მუდამ — ვინც მე დამრგო სად არიო...

კოლხეთში რომ ოქროსფერად ირხევიან ნარინჯები,
გული წყდებათ, ხმა არ ესმით თქვენი მტკიცე ნაბიჯების...

კახეთში რომ ვაზა ხარობს, რქანაყარი რქაწითელი:
— რა იქნაო, სად წავიდა, ჩვენი დიდი დამწოდენელი

— ყველაფერი, ჩვენო ძია, რომ წახვედით რვა წლის წინათ,
აბა მაშინ რა ვაყავით, ცერზე უფრო პაწაწინა.

რომ დაგვტოვეთ, მაშინ ყველას გვეძახოდნენ ცეროდენას.
აბა ვინდა იფიქრებდა, გავხდებოდით ამოდენა?!

წახვედით და დაგვტოვეთ მშობლიური სითბო დიდი.
თუმცა ჩვენთან არ იყავით, თქვენი თბილი ხელთ გვზრდიდით.

...იმ მრისხანე შემოდგომას, მტერს რომ ვსურდით გასათელად.
თქვენმა მტკიცე ვაჟაკობამ საქართველო ასახელა.

თქვენ, სტალინის ნათელ გეგმით, თქვენმა ძალამ და მარჯვენამ
ჩვენს უძლეველ წითელ ლაშქარს მოუტანა გამარჯვება!

იმ დღის შემდეგ, ყველა დედა, ყველა ბავშვი გიწვდის ხელებს
და წარმოსთქვამს: — მას დადება, საქართველოს გადამრჩენელს!

4130



და ჩვენც გულში თბილად გვაქვს, სასოვნით შენახული:
უძვირფასეს ბელადის და თქვენი დიდი სიყვარული.

...წელს, ბედნიერ თებერვალში, მოვდიოდით ქრიაშულით
წიგნით წელში, ჩანთით ხელში, ვკისკისობდით მზიარულნი.

მანბელის ქუჩას კუთხე ჩავიარეთ ერთად ყველამ.

უცბათ, თქვენმა გაღიმებამ, შუა გზაზე შეგვაჩერა.

შევიტანით, მხარში გედგნენ, ვინც გაზარდეთ მზრუნველ ხელით...

ჩვენც შევდგექით თავდახრილნი და სალაპი მოგიძღვენით...

და აბა რამ დაგვაფიწყოს, გაგონებთ და თქვენზე ვფიქრობთ
და ის წუთი ბედნიერი, ნურაფერმა დაგვაფიწყოს!..

და ჩვენც ასე პატარები შეგისრულებთ დანაბარებს:

მშრომელ დედას, მზრუნველ მამას და სამშობლოს გავახარებთ.

ვიციტ როგორ უნდა ვიყოთ: ჯერ სწავლა და მერე გავლა.

ვინც სწავლა არ შეიყვარა, ხალხს ვერაფრით მოეხმარა.

ახლა, როცა საქართველო ბრძენთა-ბრძენის კერა დიდი

საბჭოეთის დიად ქვეყნის მოელვარე მარგალიტი,

დიად შრომას შესდგომია, ხარაჩოებს მართავს ცამდე

რომ სულ მალე ინდუსტრიის გიგანტები აელვარდეს,

რომ სულ მალე საქართველო ვენახებით დაიფაროს,

სამგორში და თბილისს ახლოს აჩუხჩუხდეს წმინდა წყარო.

რომ ხრამიდან — ქართლის გულში, საქართველოს მთად და ველად,

დამით ზეცა გააბრწყინოს ელექტრონის ცისარტყელამ.

დიდი გახდეს საქართველო, პურადი და ლხინით საფეც,

ვერაფერმა ვერ ასწეროს მისი დიდი სილამაზე.

და ჩვენ ვიციტ ყველაფერი, რაც კეთდება ჩვენში ახლა:

დიდება ბრძენმა, ხალხთა მამამ და ბელადმა განიზრახა.

და ჩვენ ვიციტ ყველაფერი... ვინც ამხნევეს მამებს, დედებს,

თქვენი ზრუნვა, მითითება, ყველა ქართველს აიძულებს.

რომ მალე სთქვან: — საქართველოს, საბჭოურს და მარად მზიანს

რა ქარხნები გაუმართავს, რა დოვლათა შეუქმნია.

და ჩვენც გვინდა პატარებსაც შევიტანოთ ჩვენი წვლილი,

თუნდაც მცირე იყოს, მაგრამ კეთილ ხელით გამოწვდილი.

გვინდა შრომა შევიყვაროთ, ჩვენც ვმართავდეთ ხარაჩოებს!

გვინდა ხალხის ამენებულს, მუდამ ფხიზლად ვდარაჯობდეთ.

ჩვენი გორი, — მზის აკვანი, ბრძენთა-ბრძენის დიდი დედა,

ბედნიერი იყოს მუდამ, ვინც სიმაართლე გამოსჭედა.

ჩვენ ერთსა ვთხოვთ და ამ თხოვნას გიმეორებთ ერთხელ კიდევ,


გვინდა, ჩვენთან ხშირად იყოთ, უფრო ხშირად ჩამოხვიდეთ.

იმედა გვაქვს, რომ ამ სურვილს შეგვისრულებთ ალბათ მალე,

მარტო ბავშვებს კი არა და მთელს სამშობლოს ვახარებთ.

იღღერებდეთ, გაიხარეთ ჩვენი ხალხის სასახლოდ,

თქვენს დიდ ამაგს არასოდეს დაივიწყებს საქართველო.



ტირიფონის ველზე მოვიდიოდი.
შემომალამდა. მიწყდა ადამიანის ხმა.
ფოთლებიც კი იძინებდნენ. უმთვარო ღამეების დრო იყო. არც ვარსკვლავები გაპკარებოდნენ ცას, არც მთვარე, მაგრამ რაცაა შუქი მაინც ლურჯად ანათებდა სივრცეს. ჩემ წინ იშლებოდნენ შორი მთებისა და ხეხილთა ლამაზი სილუეტები, რომლებიც ისე მოჩანდნენ, თითქოს ისინი ბუნების დიად ფუნჯს ზედ ცაზე დაეხატა.

ღროღადრო ჩურჩულოვით ისმოდა ლიანვის დენა. ალბათ, ეალერსებოდა მიწას, რომელშიც იწვა და მინანათობდა.

ვუახლოვდები ქართლის გულს. კარგად გამოჩნდა გორის ციხე. ის აღმართულა პატარა ქალაქის თავზე და თითქოს ესაუბრება მას. ასე მგონია, გორის ციხე ჩემკენ მოემართება. აი, მომიახლოვდა, გაიზარდა და გოლიათივით წამომადგა თავზე.

სინათლეებმა გული გამინათა. შემოგუარე ციხეს, ვშორდები კიდეც, მაგრამ ახლა მგონია, თითქოს უკან მომყვება... მესმის მისი მძიმე ნაბიჯები... წარსულის მოგონებათა ბორკილები შემომახვია...

მასპინძელმა გაალო კარი, გაალო გულიც და შუბლგახსნილი შემიძღვა შინ. ოთახში ხუთი ბიჭი დარბის. მეექვსე, ჩვილი ყრმა, აკვანში წევს. აკვანზე ნიუარის კრილა ჩხარუნები ჰკილია, პაწია შეჰყურებს ამ ჩხარუნებს და კრილა თვალთა სხივებით ეთამაშება.

როგორც ჩვენმა მამებმა იცოდნენ, საღლეგარძელოები დავლიეთ წრფელი და სიყვარულით საესე. ძილი ნებისა ვუსურვეთ ერთმანეთს და მშვიდმა ღამემ მშვიდი ძილით მოგვასვენა.

ნაშუალამეგს აკვანის ნელმა რწევამ გამალგოდა. დედის ტკბილი ლილინიც მომესმა. მღეროდა ნანას, აძინებდა ძილში შემკრთალს. ის ხუთი ვაჟიც ამ აკვანში გაზრდილან, ამ ტკბილ ხმაში დავაუკაცებულან.

ირწეოდა აკვანი, ისმოდა მშობლის ტკბილი ნანინა, მე კი ფიქრების სასათუმალზე მივწევი:

— ქებათა ქება იმის მარჯვენას, ვინც აკვანს ჩარხავს. ნიავეით მსულუქ იფნის ხეს თლის იგი და ტკბილ ღიმილში გრძნობით ღილინებს. ეს საამუჭი მისი ღილინი წმინდა ნაკადულივით მოჩხრიალებს გულიდან, საშვილიშვილო საქმე ახარებს, აკეთებს აკვანს ლამაზს, ბედნიერს, ათობით თაობა რომ გამოზარდოს, საუკუნეს რომ გაუძლოს.

მომავალში იცქირება მეაკვე. ახლადდაბადებული ადამიანის სიცოცხლის სარეცელს ამზადებს, ჩვილი ბავშვის ჩვილ სარეცელს, სადაც პირველად უნდა შეიგრძნოს მან ცხოვრება. შემოჭავი არტახების სიმძიმე, რომელსაც აადვილებს მშობლის ტკბილი ხმა, საყვარელი მკერდი და დედის გულიდან ამომსკდარი მარადიული სიმღერა—იავნანა.

რამდენ მშობელს აკვანთან თეთრად გაუთენებია, აკვანზე დაყრდნობილს იავნანას მღერაში მხოლოდ გარიჟრაჟზე ჩასძინებია. რამდენ მშობელს ცრემლით დაუნამავს ჩვილის თბილი სასათუმალი! მაგრამ ამავე დროს რამდენ მშობელს სიხარული და ბედნიერება უხილავს აკვანში—ბავშვის სიცოცხლით საესე თვალები, უმწიკვლო ღიმილი და კისკისი, პატარა თითების მკერდზე ფათური და მტრედისებრი ღულუნი დედის ძუძუთი გაძლომის შემდეგ...

მე ვიცი, როდენაც მეჯვენე ჰყვანსა ჩარხავს, პატარა ჩაქუჩს ნაზად არტყამს ფირებს, ფრთხილად რანდავს სარწვეველ გოგებს, რადგან მას თვალწინ უღვანან პატარები, უმწეონი. მას ასე ჰგონია, ბავშვიც კი წევს შიგ, თითქოს ეშინია არ მოახვედროს ჩაქუჩი, არ შეეხოს შალაშინით, არ ავნოს ყრმას.



რა არ გადაუტანია ჩვენს აკვანს. ჩვილი ბავშვიც კი მსხვერპლად შესწირვია მამულს. მშობლის თვალწინ სიცოცხლის მტრებს — ამოხრებელ ურდოებს—ბავშვიანად ცეცხლში ჩაუგდიათ აკვანი და ცამდე ავარდნილ ალში დაუწვავთ. ყრმა და აკვანი ერთად ჩაფერფლილა, მაგრამ შეაკვნიეს კვლავ გამოუჩარხავს ჩვილთა სარეცელი,—მსუბუქი, ლამაზი და ძვირფასი აკვანი, რადგან მას სწამდა, რომ არ შეწყუდებოდა სიცოცხლის ნაკადული, პატარა ჩანჩქერები მინც წამოვიდოდნენ სალიკლდის მკერდზე, ძლევაძმოსილი მუხის ტოტებქვეშ. მან იცოდა, რომ აკვანს დამრწევი მუდამ ეყოლებოდა—მშობელი დედა, სიცოცხლის მარადისი...

დიდება შენ, მეაკვნევ, ქებათა ქება შენს მარჯვენას!

ნეტავი ოცნებით მინც წარმომესახოს შენი სახე, დიდო ოსტატო, უცნაურო ხელოვანო, ჯულაშვილის აკვნის შემოქმედო! ახალგაზრდა იყავი თუ დარბაისელი, ვერცხლი გილამაზებდა მაღლიან სახეს თუ გიშერი გიმშვენებდა? დუხჭირი ცხოვრებით დაღარული თუ ნათელი შუბლი გიმალღებდა გონებას? რა ცეცხლი დუღდა შენს გულში? რა სიმღერა აართოლებდა შენს ბაგეებს, რა სიმღერა?!

და მშობელიც მღეროდა ნანას, იავნანას, ნატრობდა ჩვილის გაზრდას, დავაყვაცებას, სახელოვნებას. და მშობელი ამ ნანაში უმღეროდა ჩვილს, რასაც განიცდიდა თვითონ და მისი ქვეყანა — უბედურება იყო მამინ თუ ბედნიერება, მუხთალი უკუღმართობა თუ დიდებით სავსე დრო...


მეაკვნევ, ჩემო შორეულო წინაპარო, ქართველო მეაკვნევ, ეს შენ გამოჩარხე რუსთაველის აკვანი! ბედნიერი იყო ის აკვანი! კარგი ხელი გქონია, ჩემო შორეულო წინაპარო, ბედნიერი ხელი!

რუსთაველის მშობელი დედა იმ აკვანზე მღეროდა ნანას, ის ისევე, როგორც ყოველი ქართველი დედა, გულიდან ამომსკდარ იავნანას უმღეროდა ჩვილს, არწევდა მას, ათენებდა ღამეებს და ქვეყნის დიდებას მღეროდა ამ ნანაში. ეს დიდება მან ჩაუქსოვა რუსთაველს გულში, გონებაში და მარადიული სიცოცხლე მიანიჭა მას...

ეს კი ნათელია — მისი მშობლის იავნანაში ბრძოლის ხმები იყო ჩაქსოვილი, ეს ხმები ზრდიდნენ ყრმას კაცობრიობის ბედნიერებისათვის მებრძოლ ადამიანად.

* * *

ფიქრების სასთუმალზე ვიწეკი... გვერდზე ოთახიდან კვლავ მოისმოდა აკვნის რწვევისა და ნანინას ტკბილი ბგერები... მე ვთვლემდი და ვგრძნობდი, თითქოს ირწეოდა ქართლის გული, ირწეოდა მთელი საქართველო, როგორც ვეებერთელა აკვანი, რომელმაც აღზარდა დიდი და საყვარელი ადამიანი.



სიმღერა დიად ხუთწიგნზე

ჰეი, შემოკრბით, მისმინეთ,
სიმღერას უნდა გამგონი!
გესმით? მჭუხარებს რუსთავი,
გესმით? გუგუნებს სამგორი!

ჰე, საქართველოს ველებო,
ლამაზო ცისარტყელებო,
თქვენს სადიდებელს ვბუბუნებ,
გულს ლაღად ვასიმღერებო!

გესმით? გუგუნებს რუსთავი,
დიდი ხუთწიგნის დიდება,
სამგორს იკითხავთ? სამგორიც
ბარაქით დაიტვირთება.

გამარჯვებულთა სიმღერა
სიმღერას გაეკიდება:
ჩვენს მამას, იმედს, განთიადს,
ბელადს ვაშა და დიდება!!

პარლაქ ჟურნალი

დედა და შვილი

ორი ძმა იდგა კავკასის კართან,
ორივე — მოდგმით ხერხეულიძე.
ორივე გმირი ქვეყანამ ზარდა,
ორივეს ჰყავდა შორით გულიმზე.

სახლში დასტოვა ერთმა პატარა
ომი აკვანში ვინც გაატარა!
შეტიტინებდა კალთაში დედას:
— „კიდევ მითხარი, ქაჯი სად იყო!“
ნორჩს აკვირებდა, თუ როგორ ბედავს
აღქაჯთახ შებმას მისი ძამიკო.

ხელის ფათურით ეკითხებოდა:
„სად ზის სტალინი, სად არის ნეტავ?“
— „იქ არის, სადაც ძამაშენია,
შენ შემოგველოს მშობელი დედა!“

მტერს მოერევა შენი მამიკო,
სტალინს ის მხარში ამოსდგომია.
დავაჟკაცდები, უნდა მზად იყო,
როცა სამშობლოს მტერთან ომია!..“

ომზე ისმენდა ამბავს პატარა,
ომი აკვანში ვინც გაატარა.
დედას აღერსით მკერდზე მიკვროდა,
ისიც ვერაგთა ქლევას ფიქრობდა.

ასე იზრდება მარჯვე ქართველი,
ასე იზრდება გმირი მრავალი.
ხმალს არ ჩააგებს მტრების გამთელ
ხერხეულიძის შთაბრძნავალი.




არკადი გაიდარი

საბჭოთა ბავშვების საყვარელი გმირი, მანაცი და გაბედული პიონერი თემური ყველამ შეიყვარა ჩვენს დიდ ქვეყანაში. მოთხრობაში „თემური და მისი რაზმი“ განსახიერებულია საბჭოთა ბავშვის საუკეთესო თვისებები: პატიოსნება, სიმართლე, შრომისმოყვარეობა, უფროსებისადმი პატივისცემა, მზადყოფნა სამშობლოს დასაცავად.

ამ შესანიშნავი მოთხრობის ავტორია მწერალი არკადი გაიდარი. მისი ნამდვილი გვარია გოლიკოვი. იგი იყო ჩვენი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტი მწერალი — მებრძოლი. მთელი მისი ცხოვრება სამავალითოა, როგორც ბოლშევიკი მწერლისა, რომელმაც დიდი და სახელოვანი გზა განვლო.

არკადი გაიდარი დაიბადა 1904 წელს ქალაქ არზამასში. იგი სიჭაბუკიდანვე მედგარად ჩაღვა ჩვენი ქვეყნის დამცველ, დიდ პატრიოტთა რიგებში. მწერლის საბუთებში ახლაც დაცულია ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი დანასიათება. აი, რას მოგვითხრობს იგი: „ამხანაგი გოლიკოვი, თოთხმეტი წლიდანვე იმყოფებოდა რა მუშურგლებურ არმიაში მეთურის თანამდებობაზე, არის რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ერთ-ერთი მგზნებარე წევრი, რომელმაც თავის თავზე ვაჟაკურად გადაიტანა 1918-1922 წლების სამოქალაქო ომის მთელი სიძნელე“. მწერალმა თავისი საბრძოლო გზა მხატვრულად გამოგვცა მოთხრობაში „სკოლა“.

არკადი გაიდარი ნამდვილი საბავშვო მწერალია. იგი იყო და არის ჩვენი ახალგაზრდობის არა მარტო ერთ-ერთი საუკეთესო მწერალი, არამედ საუკეთესო აღმზრდელიც. გაიდარის საბავშვო წიგნები ჩვენს მოზარდ თაობაში ზრდის მეგობრობის, კოლექტივიზმის გრძნობებს, ისინი ბავშვებს უნერგავენ რწმენას, რომ ადამიანის ძალა მდგომარეობს ხალხთან კავშირში. მწერალმა თავისი გულისხმიერებით და დაკვირვებით შეძლო ეპოვა ბავშვის გულის გასადები. ის ბავშვის სულში შეიჭრა თაქიზად, მოხერხებულად. ამიტომ მწერლის შეხვედრა ბავშვებთან მუდამ უგულლითადისი და გულთბილი იყო. ეს დაუფიქვარი შეხვედრებიც გადმოცემულია მოგონებებში, რომლებიც ასე მრავლად მოიპოვება მწერლის შესახებ და რომლებიც აუღელვებლად არ შეგიძლიათ გადაიკითხოთ. ეს დიდი საყვარული საბჭოთა ბავშვებისა თავისი მწერლისადმი შესანიშნავად გამოხატა პოეტმა სერ-



გეი მიხალკოვმა არკადი გაიდარისადმი მიძღვნილ ლექსში. პოეტის სტრიქონებში ცხადდება მწერლის მიერ განვლილი ბრძოლისა და შემოქმედების სახელოვანი დიდი გზა. იგი წერს:

„ბავშვთა საყვარელი წიგნების შემქმნელი,
ბავშვთა გულითადი მეგობარი,
ცოცხლობდა ისე, ვით მებრძოლი,
და მოკვდა, როგორც მეთმარი“.

მწერლის წიგნებში საბჭოთა ბავშვებმა, ნორჩმა მკითხველებმა იცნეს თავიანთი თავი. ამიტომ უყვარს ჩვენს მოზარდ თაობას იგი. გაიდარის მოთხრობები: „სკოლა“, „თემური და მისი რაზმი“, „შორეული ქვეყნები“, „სამხედრო საიდუმლოება“, „ცისფერი ფინჯანი“, „მხურვალე ქვა“ და სხვა, მუდამ საყვარელი ნაწარმოებები იქნება ნორჩ მკითხველთათვის. გაიდარის პოეტის ყველა წიგნში მოცემულია ომის თემა, სოციალისტური სამშობლოს დაცვის თემა. იგი მთელი გულწრფელობით ასახავს რევოლუციურ პეროიკას, სამოქალაქო ომის პეროიკას და გულმოდგინედ მოგვიწოდებს ვიყოთ სადარაჯოზე, ვიყოთ მზად. ეს მგზნებარე პატრიოტიზმი თვით მან ნათლად გამოავლინა ჩვენი დიდი სამშობლოსადმი თავდადებათ. 1941 წლის 26 ოქტომბერს არკადი პეტრეს-ძე გაიდარი დაიღუპა გერმანულ-ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

დ. მარიამიძე

ღოწმქრობა



ღამით წითელარმთელობა უწყება მოიტანა. განთიადზე კი, როდესაც ალკას ჯერ კიდევ ეძინა, მამამ მაგრად ჩაკოცნა იგი და ლაშქრად წავიდა—ოწმი.

ღიღით ალკა გაგულისდა, რატომ არ გამღვიძეთო, და იმ წამსვე განაცხადა, მეც მივდივარ ლაშქრობაწიო. იგი ალბათ მზად იყო მოერთო ყვირილი, დაეწყო ტირილი, მაგრამ სრულიად მოულოდნელად დედამ ნება დართო ისიც წასულიყო ლაშქრობაწი.

და აი იმისათვის, რომ გამგზავრების წინ ძალ-ღონე მოეკრიბა, ალკამ აღარ იჭირვეულა და მთელი ჯამი ფაფა შეჭამა, რძეც შესვა. შემდეგ დედასთან ერთად შეუდგა სალაშქრო შეჭურვილობის დამზადებას. დედამ დაიწყო მისთვის შარვლის შეკერვა, თვითონ კი იჯდა იატაკზე და ფიცრიდან ხმალს თლიდა. აქვე, ამ მუშაობის დროს, სწავლობდნენ ისინი სალაშქრო მარშებს, რადგან ისეთი სიმღერით, როგორიცაა „ტყეწი იშვა ნაძვის ხეო“, შორს ვერ წავიდოდა კაცი. არც მოტივით გამოდგებოდა ის, არც სიტყვებით იყო ისეთი. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს მელოდია ბრძოლისათვის სრულებით შეუფერებელი იყო.

მაგრამ აი დედა სამსახურწი სამორიგეოდ უნდა წავიდეს. ამიტომ ეს საქმეები ხვალისათვის გადადწეს.

ასე ღლითი დღე ამზადებდნენ ალკას შორეული გზისათვის, უკერავდნენ შარვლებს, ხალათებს, უკეთებდნენ დროშებს, ალმებს, უქსოვდნენ თბილ წინდებს, ხელთათმანებს. მარტო ხის ხმლჭები, თოფისა და დაფდაფის გვერდით, კედელზე უკვე შეიდი ცალი ეკიდა. ასეთი მარაგი ზედმეტი როდია, რადგან ცხარე ბრძოლაწი წკრიალა ხმლის სიცოცხლე უფრო ხანმოკლეა, ვიდრე მხედრისა.

ალკა უკვე დიდი ხანია მზად იყო სალაშქროდ, მაგრამ ავერ მკაცრი ზამთარი დად-

გა. ასეთ ყინვაწი, რასაკვირველიან, სულ ადვილად შეიძლება კაცს სურდო დაემართოს ან კიდევ გაცივდეს, ამიტომ ალკა მოთმინებით ელოდებოდა თბილ მზეს.

მოვიდა ეს თბილი მზეც. გაშავდა გამღნარი თოვლი, და ის-ის იყო შეუდგნენ გზისთვის მზადებას, რომ ამ დროს ძლიერად დაიწკარუნა ზარმა. მძიმე ნაბიჯით შე-



მოვიდა ოთანწი ლაშქრობიდან დაბრუნებული მამა. მისი სახე ჩაწავეებული იყო, ქარდაკრული, ტუჩები დამსკდარი ჰქონდა, მაგრამ ჭრელი თვალები მხიარულად იცქირებოდნენ.

იგი გადაეხვია ცოლს, და ცოლმა მიულოცა გამარჯვება. მან მაგრად ჩაიკრა გულწი შვილი. შემდეგ დაათვალიერა ალკას სალაშქრო შეჭურვილობა, გაიღიმა და უბრძანა შვილს: მთელი იარაღი და ამუნიცია სრულ წესრიგწი გქონდეს, რადგან მძიმე ბრძოლები და საწიწი ლაშქრობანი ჩვენს დედამიწაზე კიდევ იქნებაო.





ჩვენი ქვეყნის ღია რი მშენებლობანი საბაზელ მომის პეკიორეზი

„რუკა სიბრძნის ქვა არის“ — ასე ამბობდნენ ძველი საბერძნეთის მეცნიერები. მართლაც, ბევრი რამ შეუძლია გვიამბოს რუკამ, მხოლოდ საჭიროა მისი ცოდნა, მოხმარება, რათა არ გამოგვეპაროს დიად მშენებლობათა არც ერთი მნიშვნელოვანი დეტალი ჩვენი სამშობლოს თვალუწვდენ სივრცეებზე—ქალაქ კალინინგრადიდან კურილის კუნძულებამდე და ჩრდილო ყინულოვანი ოკეანის მარადი ყინვებიდან შუა აზიის უდაბნოებამდე.



რუკა თვალსაჩინოდ მოგვითხოვს, თუ ჩვენი გმირი ხალხი როგორ აწარმოებდა გრანდიოზულ მშენებლობას და სტალინური ხუთწლეულების მანძილზე სახეს უცვლიდა ჩვენს ქვეყანას.

რუკა მოგვითხოვს, თუ სამამულო ომის პერიოდში, მიუხედავად მძიმე პირობებისა, როგორ შენდებოდა ახალი საწარმოები, ფაბრიკა-ქარხნები, შახტები, რკინიგზები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები.

სამამულო ომის პერიოდში დასავლეთ რაიონებიდან ევაკუირებულ იქნა თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესი საწარმო, რომლებიც წარმატებით განაგრძობდნენ ფრონტისათვის საჭირო იარაღისა და საჭურვლის გამოშვებას; ამავე დროს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში აღმოცენდა ახალი, უდიდესი საწარმოები, რომლებმაც კიდევ უფრო გააძლიერეს ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობა, წითელი არმიის შექურვილობა და სიძლიერე.

აიღეთ რუკა და ნახეთ თუ რამდენი ახალი და დიდი საწარმო აშენდა საბჭოთა კავშირში 1941—1945 წლებში.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მეტალურგიული ქარხნების მშენებლობას. ომის წლებში მწყობრში ჩადგა შრალის მეტალურგიული ქარხნის ახალი ბრძმელები № 5 და № 6, რომლების ბადალი არაა ევროპაში. მეტალურგიული ქარხნები აშენდა აგრეთვე ნოვო-ტავილში, ჩელიაბინსკსა და ორსკში (ურალი), ამურის კომსომოლსკში (შორეული აღმოსავლეთი), სამარყანდში (ყაზახეთის სსრ), ქალაქ ბეგოვატში (უზბეკეთის სსრ), სტალინსკში (კუზბასი), კრასნოიარსკში და სხვ. აგრეთვე ათეული ჰიდრო და



თბოელსადგურები, ფეროშენადნობთა (კუზნეცკა და აქტიუბინსკი), ალუმინის (კუზბასში) და სხვა ქარხნები.

ორი წლის წინათ დაიწყო ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა რუსთავეში, თბილისის მახლობლად, რომელიც მეოთხე სტალინურ ხუთწლეულში 330.000 ტონა თუჯსა და 185.000 ტონა ფოლადს მოგვცემს. ქარხანას რკინის მადანს მოაწვდის დაშქესანის (აზერბაიჯანი) საბადო, ქვანახშირს—ტყვარჩელი, ხოლო მარგანეცს—ჭიათურა.

1944 წელს დაიწყო გახსადენი მილის მშენებლობა სარატოვი—მოსკოვი, რომლის სიგრძე 783 კილომეტრს, ხოლო გამტარუნარიანობა 500 მილიონ კუბიკურ მეტრ გაზს მიაღწევს.

ალტაის მთების კალთებზე, ქალაქ რუბცოვოში, ამავე წლის მარტში აშენდა და ექსპლოატაციაში შევიდა ტრაქტორების ახალი ქარხანა, რომელიც ათასობით ტრაქტორებს გამოუშვებს ჩვენი სოფლის მეურნეობისა და წითელი არმიის საჭიროებისათვის. ახალი სატრაქტორო ქარხნები აშენდა ქალაქ ვლადიმირსა და ქალაქ ლიპეცკში. ამრიგად, ამჟამად ჩვენ გვაქვს შვიდი სატრაქტორო ქარხანა.

1945 წლის დასაწყისში დამთავრდა და ამავე წლის პირველი მისისათვის 350 კომბაინი გამოუშვა კრასნოიარსკის კომბაინების ქარხანამ. ეს უკვე კომბაინების მეორე ქარხანაა საბჭოთა კავშირში (სარატოვის შემდეგ).

მოსკოვის, გორკისა და იაროსლავის ავტოქარხნებს მხარში ამოუდგა ურალის ახალი საავტომობილო ქარხანა, რომლის მშენებლობა ჯერ კიდევ 1944 წელს დამთავრდა. ქალაქ მიასის სტალინის სახელობის ავტოქარხანამ თავისი პირველი პროდუქცია 1944 წლის 8 ივლისს გამოუშვა. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მუშაობა აგრეთვე ქუთაისის საავტომობილო ქარხნის დასამთავრებლად, ეს ქარხანა წლიურად 15 ათას საბარგო ავტომანქანას გამოუშვებს.

გარდა ამისა, სამამულო ომის წლებში აღდგენილ იქნა მოსკოვის ქვანახშირის აუზი, ექსპლოატაციაში შევიდა პეჩორის ქვანახშირის ახალი აუზი, კიზელის რამდენიმე შახტა (ურალზე), გაფართოვდა ყარაგანდას ქვანახშირის აუზი. სამჯერ გაიზარდა ნავთობის ამოღება ნებიტ დაღში (თურქმენეთის სსრ). 1943 წელს გაყვანილ იქნა რკინიგზის ახალი მნიშვნელოვანი ხაზი—ქალაქი კოტლასი (არხანგელსკის ოლქი)—ქალაქი ვორკუტა (კომის ასსრ), 1847 კილომეტრი სიგრძისა. აღნიშნული ხაზი უზრუნველყოფს ქვანახშირის გამოზიდვას ვორკუტას მდიდარი საბადოებიდან. აგრეთვე გაყვანილ იქნა რკინიგზის ხაზი სტალინგრადიდან ულიანოვსკამდე და სხვა ასეთია, მოკლედ, საბჭოთა ხალხის გმირული შრომის ნაყოფი სამამულო ომის პერიოდში.

მეოთხე სტალინურ ხუთწლეულში ახალ გრანდიოზულ მშენებლობასთან დაკავშირებით სრულიად შეიცვალის სახეს ჩვენი ქვეყანა. აღდგენილ იქნება არა მარტო ომის პერიოდში დანგრეული და დაზარალებული საწარმოები, არამედ აშენდება ასობით ახალი საწარმოები, რომლებიც კიდევ უფრო განამტკიცებენ ჩვენი სამშობლოს ძლიერებას.



8. ზარდაღიშვილი



— რომელი საათია, დედა? — ლოგინიდან წამოიძახა თემურმა.

— ადგომის დროა, შვილო. რვა საათია.

— ათ წუთში ავდგები, — სთქვა თემურმა და გადაბრუნდა. იმ დღეს დარცხვენილი დაბრუნდა თემური სკოლიდან: გაკვეთილზე დაავიანა და კლასის დამრიგებელმა დაავალა — მშობელი მოიყვანეთ.

რა პირით შეხედოს მამას! დედაც ხომ აფრთხილებდა — დროით უნდა ადგე, რომ გაკვეთილებსაც გადაჰკრა თვალი, დინჯად ისაუბრო და სკოლაში თავის დროზე მიხვიდე!

ძალიან ეწყინათ მშობლებს თემურის ამბავი.

— რამდენი წუთი დაიგვიანე? — კუშტად ჰკითხა მამამ.

— რა ვიცი, მგონი, ათი, — ლულულულით მიუგო სირცხვილით გაჭარხლებულმა პიონერმა.

— ათი წუთი! — დინჯად გაიმეორა მამამ.

— გეტყობა, არ იცი, რა ძვირფასია წუთი. ადამიანი ყოველ წუთს უნდა უფრთხილდებოდეს, ერთი წუთიც კი არ უნდა დაკარგოს ტყუილ-უბრალოდ. ყველა წესიერად და თავის დროზე უნდა აკეთებდეს დაკისრებულ საქმეს. ვთქვათ, საბჭოთა კავშირის ყოველმა მუშამ თითო წუთი დაიგვიანა ფაბრიკა-ქარხნებში — ამით ხომ მილიონი წუთები შედგება! აბა, წარმოიდგინე, რამდენი რამის გაკეთება შეიძლება რამდენიმე მილიონი წუთის განმავლობაში! მოსწავლეებს რა ევალებათ? — ცოდნის შეძენა,

რომ მერე თავისი ცოდნა სხვებს მოახმარონ, სახელმწიფოს სასარგებლოდ გამოიყენონ. ამიტომ მოსწავლეებმაც არ უნდა დაკარგონ დრო ტყუილ-უბრალოდ.

— მე აღარ დავიგვიანებ, — გაუბედავდ მიუგო თემურმა.

— ვნახოთ, რამდენად შეასრულებ შენს დაპირებას. გახსოვდეს, რომ პიონერი ხარ, შენ სხვებს უნდა აძლედე კარგ მაგალითს. რაკი წუთის ფასზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ეს მითხარი, როგორ გგონია, შეიძლება თუ არა წუთში ორი ავტომობილის გაკეთება?

თემურმა გაოცებით შეხედა მამას.

— წუთში ორი ავტომობილი?!

— ჰო, ორი ავტომობილი. მაშ, შენი აზრით, ეს შეუძლებელია. აბა, ყური მიგდე. მამამ აიღო რაღაც ყურნალი, ჩაახველა და განაგრძო.

— რასაც ახლა გეტყვი, ის ამ ყურნალში სწერია. მე გითხარი, ყოველი წუთი ძვირფასია მეთქი. მაგრამ წუთიც არის და წუთიც. ვთქვათ, შენ დაამთავრე უმაღლესი სასწავლებელი, მეცნიერებას დაეწაფე და აქლემების ქარავნით მიემგზავრები ექსპედიციაში უდაბნოს გამოსაკვლევად. დანიშნულია ექსპედიციის გასვლის საათი. შენ ერთი წუთი დაგავიანდა. წამოეწევი თუ არა ქარავანს?

— როგორ ვერ წამოეწევი!

— მართალია. ქარავანი ამ ხნის განმავლობაში 100-150 მეტრზე მეტს ვერ გაივლიდა. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ჩქარმატარებელზე დაგავიანდა ერთი წუთი. მატარებელი უკვე ერთ კილომეტრზე იქნება შენგან, მის კუდს თუ მოჰკრავ თვალს. ვთქვათ, მფრინავი-გამანადგურებელი დაედევნა მტერს და ერთი წუთი დაკარგა — ამ ხნის განმავლობაში მტერი უკვე 10-15 კილომეტრით დაშორდა მას.

წუთის ფასი სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირია. სამამულო ომის წინ, 1940 წელს, საბჭოთა კავშირის მემლაროენი ყოველ წუთში იძლეოდნენ 320 ტონა ქვანახშირს.

— წუთში 320 ტონას?!—წამოიძახა სმენარ გადაცეულმა პიონერმა.

— დაახ, 320 ტონას. ფაშისტები ვერაგულად თავს დაესხნენ საბჭოთა კავშირს. გერმანელებმა ბევრი სიმხეცე ჩაიდინეს. ბევრი რამ გაანადგურეს და, მათ შორის, მლაროებიც დააზიანეს. გამარჯვების მთავარსარდლის, გენიალური სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენმა წითელმა არმიამ გაანადგურა მტერი. ჩვენი ქვეყანა კვლავ მშვიდობიან შრომას შეუდგა და ომისაგან მიყენებულ ჭრილობებს ნელ-ნელა იმუშებს. საჭიროა ძალიან დიდი და ენერგიული შრომა, რომ აღვადგინოთ ის, რაც ომმა გაანადგურა. მაგრამ მართო ეს როდი კმარა. ჩვენ წინ უნდა წავიდეთ, ბევრად უნდა გავუსწროთ იმას, რაც ომამდე გვქონდა. მეოთხე სტალინური ხუთწლედის ითვალისწინებს ყოველივე ამას. წელს მეოთხე სტალინური ხუთწლედის პირველი წელია, ეს ხუთწლედი 1950 წელს დამთავრდება. მე გითხარი, რომ ომამდის საბჭოთა კავშირის მემლაროენი წუთში იძლეოდნენ...

— 320 ტონა ქვანახშირს!—მკვირცხლად მიუტო მამას შეიღმა.

— მართალია. 1950 წელს კი ისინი 500 ტონა ქვანახშირს მოგვცემენ წუთში. მაშასადამე, ხომ შეცვლილა მემლაროელების წუთის ფასი 1940 წელთან შედარებით?

— შეცვლილა. კიდევ, მამა? ეს ძალიან საინტერესოა. მე არ მეგონა, თუ წუთი ასე ძვირფასი იყო!


მამა ხედავდა, როგორ დაინტერესდა თემური, და განაგრძო:

— საბჭოთა კავშირის ბრძმელები ომამდის წელიწადში 15 მილიონ ტონა თუჯს იძლეოდნენ, ესე იგი, წუთში 28 ტონას, 1950 წელს კი წუთში 38 ტონას მოგვცემენ, წელიწადში—19,5 მილიონ ტონას. მეფოლადენი წუთში მოგვცემენ 50 ტონა ფოლადს, მენაეთობენი—70 ტონა ნავთობს.

— შენ რომ სთქვი, წუთში ორი ავტომობილი...

— მიხვდი? მართალი ხარ, საბჭოთა კავშირის ავტომობილის ქარხნების კონვეიერებზე ყოველ წუთში ორი ავტომობილი „დაიბადება“ 1950 წელს. ფეიქრები 900 მეტრ სხვადასხვა ქსოვილს მოგვცემენ წუთში, მეფხსაცმელენი—500 წყვილ ფეხსაცმელს...

თემური გაოცებული იყო: ახლა კი მიხვდა იგი, თუ რა ძვირფასი ყოფილა თითოეული წუთი.





მურომანი

მართლ უამთრის პირას ჩემი მეგობარი ზაქარია მესტუმრა. ომგადახდილი იყო, რამდენიმე წელი ერთმანეთი არ გვენახა და ძლიერ გავიხარეთ. ბუხარში ცეცხლი გავაჩაღე, დავსხედით და ტკბილი მასლაათი ვავაბით.

ამ დღეს გვარიანად მოთოვა. ციდან თეთრი ფიფქები ცვივოდა და ფარავდა ჩემს სოფელს, მის ტყეს, მიწას, ლამაზ მთებს, უხვ მოსავლიან ჭალებს და მინდვრებს.

ჩვენი ოღის აივნისათვის, თავი შემოეფარებინათ ბელურებს და ხმაურობდნენ, უვილ-ხივილი ჰქონდათ. თუმცა ციოდა, მაგრამ აივანზევე იმყოფებოდნენ მეზობლის ბავშვებიც. აქ იყო ერთი ცილა თაფლისფერთვალება ნანი და თმახუჭუჭა ზაზა; მწვიდი, წყნარი ხასიათის ვანო და მოუსვენარი პეტიკო, ლეილა და ნათელაც. ბავშვები ერთ კუთხეში შეჯგუფებულიყვნენ და ნაცრისფერ ბელურებს ნამცეცებს უყრიდნენ.

მე და ზაქარია ფანჯარას მიეუახლოვდით და ვხედავდით, თუ რა სიხარულით კენკავდნენ პატარა ფრინველები საჭმელს, თან ვანოს ხმაც გვესმოდა:


— საბრალო ბელურებო, როგორ მობუზულხართ! ნუ გეშინიათ, ქვას არ გესვრით, საჭმელს დაგიყრით. როცა გაზაფხულდება და გათბებით, საჭმელსაც მეტს იშოვით, მოსპეთ ჭიალეები და მატლები.

ზაქარიას სახე გაუბრწყინდა და მითხრა:

— რამდენი გულწრფელობაა ამ ბავშვებში! რა წმინდაა ეს საბრალოსის გრძობა. ხშირად ეს პატარები ისეთ დიდ კეთილშობილებასა და პატიოსნებას იჩენენ, რომ გაოცებული რჩებით და გიხარიათ, რომ ჩვენს სამშობლოს ასეთი კარგი ადამიანები ეზრდებიან.

ერთმა შემთხვევამ სავსებით დამარწმუნა ამაში. თითქოს დიდი არაფერია, მაგრამ ჩემზე კი ისეთი შთაბეჭდილება დასტოვა, რომ ომის ქარცეცხლშიც არ დამვიწყებია იმ ბავშვის კეთილშობილური საქციელი.

ზაქარიას ნათქვამმა დამაინტერესა. მე ყურადღებით ვუსმენდი მეგობრის საუბარს. — 1941 წლის ზაფხულიდან ჯარში ვიმყოფებოდი. ჩვენი ნაწილი დაძაბულად მეცადინებოდა და მტრისთვის სა-



— მურომანი... წაიღე ეს ფული და ყურძენი გვიყიდე.

კაღრისი პასუხის გასაცემად ემზადებოდა. ოქტომბრის ბოლო რიცხვებში ერთ-ერთი ასეთი მეცადინეობა ჩავატარეთ რკინიგზის სადგურის მახლობლად. ნაშუადღევა შევისვენეთ, აი, ამ ქუჩაზე, პედაგოგურ ინსტიტუტს რომ აკრავს აღმოსავლეთით.

ხალხი გვესალმებოდა და ყვავილებს ვეთავაზობდა. მე რამდენიმე ამხანაგთან ერთად ახალ გაზეთს ვკითხულობდი. მოშორებით ჩვენსკენ მომავალი 10-12 წლის სუფთად ჩაცმული ორი ბავშვი შევნიშნე. ეტყობოდა სკოლიდან ბრუნდებოდნენ და გაცხოველებით საუბრობდნენ.

— ხუთი მივიღე, ხუთი ქართულში... ერთაც არ შემშლია!

როგორც კი გაგვისწორდნენ, ჩემ გვერდით მყოფმა შალვამ კარგი ნიშნით გახარებულ ბავშვს დაუძახა და კითხა:

— რა გქვიათ ბიჭუნა?

— მურმანი.

საუბარში ხუმარა დავითიც ჩაერა და ბავშვს მიმართა:

— მურმან, მურმან შენსა მზესა, რა გვარი ხარ?

მოსწავლე გაწითლდა და გვარი გვეთხრა. აღარ მახსოვს კარგად, მგონი ბერიძე იყო. იქვე ჩვენს მახლობლად ჰქონოდა ბინა.

მე სამთუმნიანა ამოვიღე და ვუთხარი:

— მურმან, ცოტა ქვევით ყურძენი იყიდება, შენს გაზრდას, წაიღე ეს ფული და ყურძენი გვიყიდე.

— შეგიძლია?


— ამ წუთში აქ გავჩნდები ბიძია!— გვითხრა ბავშვმა, ფული გამომართვა, თან ამხანაგი გაიყოლია და წავიდა.

გავიდა 10 წუთი, 15, 25, მაგრამ ლოდინი ამაო იყო. ბავშვი აღარ ჩანდა. ჩვენ ხელახლა დავემწკრივდით და სადგურის აკრძალულ ზონაში ისევ სამეცადინოდ შევევით.

გზაში ამხანაგები მეხუმრებოდნენ:

— ზაქარია, ყურძენს არ ელოდები! მიიჩნევი ახლა ციკვა და ალადასტური, ჩაიტკბარუნე პირი... ჩვენ ნუ გვაჭმევს!— მითხრა ერთმა.

დავითმა კი გულიანად გაიცინა და დაუმატა:



— მიიჩნევი, ბიძია, ყურძენი, სულ თქვენია...

— ქარივით გაქრა მურმანი, წაიღო სამი თუმანი...

მეც მეცინებოდა და თან მწყინდა. შენ გგონია ფული მენანებოდა? არა, სრულებით არა! მე სხვა რამ მაწუხებდა: ნუთუნლობა გამიცრუვდა და მომატყუილეს?

მზე უკვე ჩალიოდა, როცა ჩვენ აკრძალულ ზონიდან გამოვედით. სანამ მწყობრში ჩავდგებოდით რამდენიმე წუთი გავიდა. წარმოიდგინეთ ჩემი გაცოცება, როცა ხალხის ერთი ჯგუფიდან სწრაფად გამოვიდა მურმანი, პირდაპირ ჩემთან მოიჭრა, ფული ხელში მომაჩეჩა და სულმოუთქმელად მიიხრა:

— ბიძია, აი ინებეთ თქვენი ფული. დუქანი დაკეტილი იყო, მე მეორე ადგილას



წავედი, მინდოდა თქვენი დავალება შემესრულებინა, მაგრამ ყურძენი ვერც იქ ვიშოვე. უკანვე დავბრუნდი, დაგვიანებული იყო, აქ აღარ დამხვედრინებარ. ბიჭებმა მითხრეს, რომ თქვენ ხაზზე იყავით. მე ცოტა ხნით შინ მივირბინე და იმის შემდეგ კი აქ გულღებობით.

სინარულმა შემიპყრო და აღტაცებით ვუთხარი:

— არა უშავს მურმან, კარგი ბიჭი ყოფილხარ, ეგ ფული შენი იყოს, რვეულები ან წიგნები იყიდე... უარის ნიშნად თავი გააქნია და სწრაფად მოშორდა. ფილაქანზე 14-15 წლის ცქრიალა ვოგონა იდგა და ჩვენ გვიყურებდა. მურმანმა მასთან მიიღბინა და მოზრდილი კალათი გამოართვა. ჩვენ მოგვიტანა.

ოქროსფერი ყურძნის მტევნებით იყო სავსე!

— მიირთვით ბიძია ყურძენი, სულ თქვენია, ის გოგო-კი ჩემი დაა მზექალა. ეზოში ორი ძირი ვაზი გვაქვს, ერთი მზექალასია, ერთიც ჩემია. აქამდის ვინახავდით და ვამწიფებდით. ახლა მოვკრიფეთ და მზიანებით. მიირთვით ბიძია, მიირთვით! ჩვენ შორს ტკბილი ყურძენი იცხს, კარგად მწიფდება!

ჩემი ამხანაგები გოცებით უტყუროდნენ ამ პატარა ბიჭუნას. ვერ მოვიტყუე, მანს მოვეხვე და ვაკოცე. ჩემმა მეგობრებმაც გულში ჩაიკრეს ბავშვი.

ჩამოვირიგეთ თითო მტევანი ყურძენი, თაფლივით ტკბილი და გემრიელი. მურმანს და მზექალას, მათ შობლებს, ყველა კარგ ბავშვს დღეგრძელობა ვუსურვეთ და სადგომისაკენ გავწიეთ.

რამდენიმე თვის შემდეგ მე უკვე ფრონტზე ვიყავი. ქვემეხების გრიალშიც ხშირად მაგონდებოდა ეს შემთხვევა და ეხლაც სიამოვნებით მოვიგონე.

ეჰ, სადა ხარ ჩემო მურმან ეხლა! ეს შემთხვევა შენ იქნებ აღარც კი გახსოვს. მე კი ყოველთვის აღტაცებით ვიგონებ მას და ვამბობ: თაფლივით ტკბილი იყო აქაური ყურძენი, მაგრამ ვერავითარი სიტყვა ვერ შეედრება იმ სიამოვნებას, რომელიც მე ვიგრძენი მაშინ, შენი პატოსნებისა და კეთილშობილების გამო!

ჩემო მურმან, ნეტავი შემხვდებოდნე სადმე, რომ კიდევ ჩაგიკრა გულში და სამაგიერო პატივისცემა გადაგიხადო!—დაამთავრა თავისი ამბავი სახეგაბრწყინებულმა ზაქარიამ.

დ. თარგმანი

ნანატები არ. რაშაძის

შოთას სინანული

შოთა უზრდელი ბავშვი როდია, მაგრამ იგი უხიაკ ხუმრობას, ხეპრე ლაპარაკს მიეჩვია.

ეს დამართა მას ქუჩის ტანტალა, ყბაჩუა, ყბამრულ ბიჭებთან დაახლოებამ. ამ დღეს შოთა დილიდანვე აღერდილი იყო და ნავსობისკენ იწეოდა. მეზობელ მოხუცს უდიერად მოეპყრა—შეურაცხყოფა მიაყენა.


— რას ყბელობ შე ბებრუხანავ!—მიიძახა უშვერად მოხუცს.

— უი, ჩემს დანელებას! ეს რა მესმის?—წაიფიფიჩია დედაბერმა და ატირდა.

ეს ამბავი შეიტყო შოთას მამამ.

როცა მას რაიმე ეწყინებოდა, სახე აუწითლდებოდა. იცოდა ეს შოთამ და რომ შეხედა მამას, ტანთ აეჭინჭრა. მამა აღელდა, მაგრამ არ შეიმჩნია. იგი შეეცადა დინჯად განესაჯა.

— სწავლობ კარგად, მასწავლებლები გემაღლიერებინ, ამასთან ერთად აღამიან-



თადმი ყოველთვის იყავი ყურადღებიანი, თავაზიანი!

მამას მოაგონდა ერთი შემთხვევა: ქუჩის ერთი მხრიდან მეორე მხარეს გადასვლა სურდა უსინათლო ადამიანს. ქუჩაზე ავტო-ები და ტრამვაები ხრიგინ-დანდვარით ერთიმეორეს უსწრებდნენ. უსინათლო უმწოდ აცეცებდა თვალებს. არავინ აქცევდა ყურადღებას, ზოგი ოხერი კიდევაც დასცინოდა. შენიშნა უსინათლო თუ არა შოთამ, მყის მიეშველა, ჩაავლო ხელი და გადაიყვანა სამშვიდობოს. განუსაზღვრელად ასიაშოვნა შოთას ამ საქციელმა მამა, დღეა კი რა ალაღმა დაჰქროლა, რა ბუზანკალმა დაკბინა?

— ბიჭო, როგორ ამოგივიდა უხამსი სიტყვა? ასეთი საქციელი შეუფერებელია საბჭოთა მოსწავლისათვის. როგორც ჩანს, შენ დაგვიწყებია მოსაფის ქცევის წესები. იქ ნათქვამია: „ყოველი მოსწავლე ვალდებულია განსაკუთრებული გულსხმეირებითა და თავაზიანობით მოეპყრას მოხუცებს, სუსტებს, ავადმყოფებს, პატარა ბავშვებს, დაუთმოს მათ გზა, ადგილი, გაუწიოს შესაძლო დახმარება“.

შენ დაარღვიე ეს მშვენიერი წესი...

მამა დაფიქრდა და მცირე ხნის შემდეგ გადამქრელი კილოთი უთხრა:

— შენ დაუყოვნებლივ ბოდიში უნდა მოიხალო მოხუცის წინაშე!

მამამ ქუდი დაიხურა და გაეშურა სამსახურში.

მამას რომ ეცემნა, შოთა ისე არ შეწუხდებოდა. გაწკეპილი ლეკვივით აიძურწა.

ბოდიში მოიხადოს!... ჰმ, შოთა თავისგუნება, ნაკუწ-ბაკუწ ~~სიციხეა~~ ვერ თორეკ მის სიჯიუტეს—ძნელად გადაათქმევი-ნებ ერთხელ აჩემებულ-ახირებულს. მაგრამ შეუტრაცხოდის მიყენება როგორი-ლა? აბა მის მამას შებედოს ვინმემ ასეთი რამ?

— მამ, მოხუცის წინაშე ბოდიშის მოხდა უშველის საქმეს?—შოთა თავს ეკითხებოდა და უპასუხებდა, რომ იგი განა ძალიან ცუდია. ერთხელ მამამ აკი უქო საქციელი. ამან ანუგეშა შოთა. აგრძნობინა თავისი ღირსება. იმავე დროს გულში სინანული წრიალებდა. რა ბევრს ყოყმანობს? დაამავა — უნდა მოინანიოს! ძალა დაატანა თავის თავს, წა-



ვიდა მოხუცისაკენ. ისე მიდიოდა თითქოს ფეხებში ეკლები ჰქონდა შერჭობილი.

მივიდა და დარცხვენით ბოდიში მოიხადა. თითქოს მძიმე ტვირთი მოეხსნა გულიდან. სევდა მაინც აწუხებდა — დააკმაყოფილებს ეს მამას თუ არა? შეუთრიგდება? უნდა ახაროს მამას, რომ მოიქცა ისე, როგორც მან უბრძანა და როგორც უკარნახა სინდისმა, მაგრამ მამა ჯერ არ მოვა, ექვს საათამდის უნდა იცადოს. იჯდა შოთა საათთან და ჯავრობდა მასზე.

— შენ გულგრილი, შეუგრძნობი ყოფილხარ! ძლივს მიხობავენ შენი წუთები, ჩემსავით არ გეჩქარება!

დიდხანს ბზუკუნებდა დედამკვდარი ფუტკარივით. დიდხანს იბორიალა ოთახში მოუსვენრად. როდის, როდის შესრულდა ექვსი საათი.

მამამ შემოაღო კარი. სიხარულით გულსავსე შოთა მამას შეეფოფინა. მამა მიხვდა შვილის გამარჯვებას და ალერსით ხელი გადახვია მხრებზე. გულში გაიფიქრა, დახმარებოდა შვილს კარგი ამხანაგების შერჩევაში.

ბედნიერი შოთა თავია მამიკოს ეალერსებოდა.



გოგისაც სავსე გოდორი
მიაქვს ურმისკენ ღიმილით.



რთველ

ვენახმა ფერი იცვალა,
დამწიფებულა ყურძენი,
შუქიან მტევანს შუქს მატებს
შეყვითლებული ფურცელი.

თვალი დაატკბო ნაყოფით
ნამაგარმა ვაზებმა,
წელში მოხრილან და მაინც
რჩებიან ახალგაზრდებად.

ცოდვია სავსე მტევნისთვის
მარცვლის წახდენა, დაკლება;
სოფელიც ვენახს სიმღერით
სწვევია ყურძნის საკრეფად.

ლერწს ფრთხილად მტევნებს აკრიან,
ვაზს არ აწუხებს ტკივილი:
გოგისაც სავსე გოდორი
მიაქვს ურმისკენ ღიმილით.

მზიას აკიდოს სთავაზობს
ომგადახდილი ძმობილი,—
მოსავალს აქებს მოხუცი
ჩოხაში გამოწყობილი.

ყმაწვილკაცობას იგონებს,
ხუმრობს, საუბრობს ხმამაღლა.—
რთველია, შაშვი დამფრთხალი
ქახჭახებს ღობის გაღალმა.





სიკოს ხელური ოქროთ



ზღაპარი

4130

იყო ოდესღაც ერთი ღარიბი გლეხი ზიკო, პატიოსანი და დიდად გამრჯე. მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე მუშაობდა, მაგრამ მაინც ღარიბი იყო და წვრილ ცოლ-შვილს ძლივს არჩენდა. ერთი ჯარგვალი ედგა, ისლით დახურული, იმასაც წვიმა და ქარი ატანდა.

სიკო უწყინარი კაცი იყო და ბედს მაინც არ ემღუროდა, არც უფიქრნია თავის დღეში მუშაობაზე ხელი აეღო ან პატიოსნებისათვის ელაღატნა.

სიკოს ცოლი ელუკიაც გამრჯე დედაკაცი იყო, მაგრამ სხვანაირი ხასიათი ჰქონდა. იგი ხშირად ეუბნებოდა ქმარს:

— ვერ ხედავ, ჩემო კაცო, რომ ამ ჩვენი შრომიდან არაფერი გამოდის? დაილიე, აღარ ხარ კაცი. რა შეგმატა შენმა პატიოსნებამ ან ხელი ვინ მოგიმართათ?

— ნუ ხარ, დედაკაცო, სულმოკლე. დღეს არ გვაქვს, ხვალ გვექნება. სიმართლე არ დაიკარგება,—უპასუხებდა სიკო ცოლს, მაგრამ ისე, რომ არ აწყენინებდა, რადგანაც კეთილი იყო.

ერთ დილას გახარებული ადგა ელუკია. სიკოს უთხრა:

— ყური კარგად დამიგდე, ჩემო კაცო, რა გითხრა: წუხელ ბედნიერი სიზმარი

ვნახე. მგონია, გათავდეს ჩვენი სიღარიბე. ჩვენს გვერდით რომ ტყეა, იქ ვითომ ფიჩხს ვაგროვებდი. გავიხედე: ერთი მუხის ძირში ამოხნიქილი ფესვის ქვეშ დიდი ორმოა, ორმოში კი პირამდე ოქროთი სავესე ქვევრი დგას. ისეთი ბრჭყვიალი ამოდიოდა ქვევრიდან, რომ თვალი ვერ გავუსწორე. ადექი ჩქარა, წამოდი, იქნება მართალია.

— ხომ არ გავიყდი, ადამიანო? რისი ოქრო, რა ოქრო! შენს ქერქში დაეტეე და ბალებს მიხედე, ის გირჩეენია, — გაუჯავრდა ცოლს სიკო.

— იცოდე, წინათგრძობა მეუბნება, რომ ბედნიერება მოგველის. ისე ვნახე ის განძი, როგორც ახლა შენ გიყურებ. გეუბნები, წავიდეთ, ვნახოთ! — არ მოეშვა ელუკია.

— ჭკუაზე მოდი, დედაკაცო! — ესლა თქვა სიკომ. სიტყვა არ გაუგრძელებია, გაიღვა მხარზე თოხი და ყანაში წავიდა.

ელუკიამ კი მეზობელი როსტომის დედაკაცს მიაბარა ბავშვები და თვითონ ტყეში წავიდა დასიზმრებული განძის საძებრად.

შებნა დიდხანს არ დასკირვებია. ცხადაც ისე მოხდა ყოველივე, როგორც სიზმარში ნახა. ჩაიხედა ქვევრში თუ არა, სიხარულისაგან იკივლა, იმდენი ოქრო დაინახა.

მოხვია ხელები ქვევრს ელუკიამ, ვითომ შინ წავიღებო, მაგრამ ძვრაც კი ვერ უყო. ქვევრი შუამდე მიწაში იყო ჩაფლული. მიხვდა, რომ მარტო ვერაფერს განდებოდა. აღარ დაუყოვნებია ტყეში, ქმართან გაიქცა ყანაში.

— ხომ გითხარი, გავკეთდებით მეტი, და ასრულდა კიდევაც! — ახარა სიკოს. უამბო ყოველივე.

— ახლა მაინც არ წამოხვალ და ქვევრს არ ამომათხრევინებო?

— სირცხვილია, ქალო, კიდევ რომ არ იშლი? რას ჰვავს შენი საქციელი? საცაა შუადღე იქნება, სადილი ამოგეტანა, ისა სჯობდა. — მშვიდად უპასუხა ცოლს სიკომ. თოხიც არ შეუჩერებია.

— რას ამბობ, რა ვქნა? მართლა არ აპირებ წამოსვლას, თუ როგორაა შენი საქმე? ქვეყნის წონა განძი იქ დევს, და შენ აქ სადილზე მელაპარაკები? გაავდე ახლავე თონი, გეუბნები, და მომყევი, თორემ იმ განძს სხვა ნახავს და შენ თვალები დაგეთხრება.

— ჩემი განძი მე თან მაქვს. ეს ჩემი მკლავების ძალაა. ვისაც საძებარი აქვს, იმან ეძიოს. რაც მე მეკუთვნის, ჩემთან მოვა. შენ კი სიზმრებს ნუ აყოლიხარ, დედაკაცო. შინ გასწი, სადილი არ დამიგვიანო.

— თუ ასეა, როსტომს ვეტყვი, რომ მომეხმაროს. მაგრამ იცოდე კი, რომ ნახევარს ის წაიღებს და შენ კი პირში ჩალაგამოვლებული დარჩები.

— მე ის ვიცი, დედაკაცო, რომ ჩემსას ვერაფერს წაიღებს. სხვისი კი მე არ მინდა. მორჩა და გათავდა!—მოჭრა სიტყვა საბოლოოდ სიკომ.

ვერა გააწყო რა ქმართან ედუკიამ. შინისაკენ წალასლასდა გაწბილებული.

გზაზე იფიქრა:

— იქნება ის განძი სხვამაც ნახა სიზმარში, თუ დროზე რამე არ ვილონე, დამასწრებენ და წაიღებენო.

წელან სიკოს შესაშინებლად ახსენა როსტომი. მაგრამ ახლა ის აზრი მართლა ჭკუაში დაუჯდა. სხვა გზა არც ჰქონდა. მივიდა როსტომთან, განზე გაიხმო, საიდუმლოება გაანდო და უთხრა:


— ნახევარი შენი იყოს და შინ მომატანინეო.

— სიზმრის ასე ახდომაც არ გამიგონიაო, — თქვა როსტომმა. ჯერ არ დაიჯერა, მაგრამ მერე იფიქრა: ტყე შორს არ არის, ვნახავ, რა მენადვლებაო. დაიჭირა ბარი ხელში და ედუკიას გაჰყვა.

გულმაგარი კაცი იყო როსტომი, მაგრამ ფერი მაინც ეცვალა შიშისაგან, როცა ქვევრში ჩაიხედა. ალბათ, ხანდახან კაცს მოულოდნელი დიდი ბედნიერებისაც შეეშინდება.



შეიტოვა როსტომი ქვევრს, მაგრამ ქვევრი... არ დანებდა.



როცა ქვევრის ნამსხრევებთან დიდიან-პატარიან თავი მოიყარეს, ნახეს, რომ მატაკი ბაჯალლო ოქროს ბრჭყვიალა ზოდებით აყო მოფენილი.*

შეეტოტა როსტომი ქვევრს. მაგრამ ქვევრი როსტომსაც არ დანებდა. მიეშველა ელუკიაც. ესეც ამაო გამოდგა. მაშინ ბარი მოიპარჯვა როსტომმა. ჩათხარა მიწა გარშემო, გვერდებზედაც და ქვეშიდანაც გამოაცალა. მაგრამ ქვევრი მაინც ვერ დაძრეს ადგილიდან.

— ოქრო ისედაც მძიმეა, ელუკია. აქ კიდევ ძალიან ბევრია, ეტყობა, ვერ ვზიდავთო, — გამოუტხადა გულშემოყრილ ელუკიას როსტომმა. მერე ურჩია.

— კიდევ ვინმე მოვიშველიოთ და, როცა კარგად დაღამდება, საქმეს შევეუდგეთ. ოქრო იმდენია, ჩანს, რომ ყველას გვეყოფაო.

ელუკიას არ უნდოდა მესამედს დასჯერებოდა, მაგრამ მეტი რა გზა ჰქონდა. დათანხმდა.

შინდაბრუნებულმა როსტომმა კი ასე იფიქრა:

— ბედს მოუხედავს სიკოლა და მისი ოჯახისათვის, მაგრამ ამათ ვერ უსარგებლიათ. ელუკია ჰქვიანი ქალი მეგონა. რა საჭირო იყო ამის გამოძეღვება. მაგრამ ეს იმიტომ მოხდა, ალბათ, რომ ის ოქრო ჩემთვის ყოფილა განკუთვნილი. ხელიდან არ უნდა გავუშვა.

ამის შემდეგ დიდი ხნის მსჯელობით არ შეუწყუხებია თავი. გადაწყვიტა ელუკიასათვის არ ეცადა, არც გარეშე ვინმე გაეხადა მოზიარედ, მოეშველებინა შინაურები და ქვევრი შინ მოეტანა.

ასეც მოიქცა.

ამ კვლობაზე ქვევრი ადვილად დანებდა როსტომს და მისი ოჯახის წევრებს.

— გასაყოფიც არაფერი ყოფილაო, — თქვა როსტომმა სინდისის გასაჩუმებლად.

შემოიტანეს ქვევრი სახლში. კერიის წინ დააყენეს. როსტომმა ცოლს ანთებული ჭრაქი მოატანინა და ერთხელ კიდევ ჩაიხე-



და ქვევრში. ჩაიხედა თუ არა, განზე გადახ-
ტა და იყვირა:

— არ მიეკაროთ, გაეცალეთ!

ქვევრი წითელი გველებით სავსე აღმო-
ჩნდა. სისინით ამოეყუთ თავები და ორკა-
ბი ენები საკბენად მოემზადებინათ.

— ასე როგორ მოგტყუედი! თუ ეძინათ
ამ უხსენებლებს მაშინ... ამათი ფერი ოქ-
როსას როგორ მივამსგავსეო,—თქვა როს-
ტომმა. მარჯვედ წააფარა ნაბადი ქვევრს
თავზე და ყელს კი გარშემო თოკი შემო-
აკრა.

— აი, თურმე რა მტერი გვყოლია მე-
ზობლად და ჩვენ კი არ ვიცოდით! ეს სულ
სიკოს საქმეა. უეჭველია, ცოლი მომიგზავ-
ნა, თორემ, ოქრო რომ ყოფილიყო ნამდვი-
ლად, რა შვილია, მე ჩამრევდა საქმეში!
მაგრამ იმასაც ვნახავ, ვის უფრო აღრე
დასკამენ ეს წითელი გველები: მე და ჩემს
ოჯახს, თუ მაგ დატაკს და მის ბოგანო
ცოლშვილს!

თქვა თუ არა ეს, გაბრაზებულმა აიკიდა
ზურგზე ქვევრი და სახლიდან გავიდა.

სიკოს ეზოში შეიპარა. ავიდა ჯარგვალის
სახურავზე და ქვევრი საკვამლურიდან
ქონში თავდაყირა ჩაუშვა. თვითონ უკან
მოკურცხლა.

ის დრო იყო, როცა ახალნაევანშემევი სიკო-
იწვა და ძილს აპირებდა, ხოლო ქვევრში
ქმრის დაძინების მოლოდინში იმყოფებო-
და. დაძინებდა თუ არა სიკო, როსტომთან
უნდა წასულიყო, როგორც დაპირებული
ქმონდა.

მაღლიდან ჩამოვარდნილი ქვევრი ისე
მაგრად დაენარცხა მიწის გამხმარ იატაკს
და ისეთი ხმა გაიღო, თითქო ჯარგვალაში
მეხი გავარდაო.

წამოვარდა ლოგინიდან შეშინებული სი-
კო. გაიღვიძეს ბავშვებმაც. ენაჩავარდნი-
ლი ეღუკია კუთხეში მიმღვარიყო და პირ-
ჯვარს იწერდა.

ბოლოს, როცა ქვევრის ნამსხვრევებთან
დიდიან-პატარიან თავი მოიყარეს, ნახეს,
რომ იატაკი ბაჯალლო ოქროს ბრჭყვიალა
ზოდებით იყო მოფენილი.

— სასწაული! — იკვილა ეღუკიამ.—რა
ფუყოთ ახლა ამდენ ოქროს?

— აკი გითხარი, დედაკაცო: რაც მე მე-
კუთვნის, ჩემთან მოვა მეთქი! ნუ გეშინია,
ვერაგინ შეგვეცილებო: ალბათ, ჩემი ზვედ-
რია, — თქვა სიკომ. — დილამდის კი
ხელს ნუ ვაზღებთ, თორემ ძილი დამაკლ-
დება და ხვალინდელი დღე გამიცდებო,—
და ისევე თავის ლოგინს დაუბრუნდა.

პრ. ჟალიძე

გეოლოგის საუბარი



წიგნი ყველასათვის საყვარელია. წიგ-
ნის საშუალებით ჩვენ ვამდიდრებთ
ჩვენა გონებას ახვადასხვა ცოდნით. მაგრამ
იწიგნი, რომლის შესახებ ახლა გვექნება
საუბარი, მკვეთრად განსხვავდება ყველა
იმ წიგნისაგან, რაც ჩვენ აქამდე გვინახავს.
ეს წიგნი აულ სხვაა; მას არა აქვს ჩვეუ-
ლებრივი ქალაქის ფურცლები, რომლებ-

ზეც აღბეჭდილია ასოები, სიტყვები, წინა-
დადებაები. ეს არის ნამდვილი ქვის წიგნი,
რომელსაც ქალაქის ფურცლების ნაცვლად
ქვის ფურცლები აქვს. ამ ქვის ფურცლებ-
ზე არც ჩვეულებრივი ასოებთანაა რაიმე
აღბეჭდილი. მიუხედავად ამისა, ამ ქვის
წიგნის წაკითხვა შეიძლება. ამ ქვის წიგნში,
ისე როგორც სხვა ჩვეულებრივ წიგნში,



ბევრი საინტერესო მოვლენა და ამბავი შეიძლება ამოვიკითხოთ.

აი, ამ ქვის წიგნის საშუალებით ჩვენ გეცნობით დედამიწის ისტორიას.

მაგრამ როგორ?

ამისათვის საჭიროა ამ წიგნის წაკითხვა შევძლოთ. ასეთ ცოდნას გეოლოგია იძლევა. გეოლოგია შეისწავლის დედამიწის ისტორიას მასზე სიცოცხლის გაჩენიდან დღემდე.

დედამიწის მაგარი ქერქი, ე. ი. ის ნაწილი, რომელზეც ჩვენ ვცხოვრობთ, რომელზეც ვაშენებთ სახლებს, ფაბრიკა-ქარხნებს, გაყვავის არხები, გზატკეცილები და სხვა, მრავალი სხვადასხვა მოვლენის გავლენას განიცდის. ამ მოვლენათა შესწავლის მიზნით მკვლევარი-გეოლოგი დედამიწის ქერქს სწავლობს, რადგან მოვლენა, რომლის შესწავლა მას აინტერესებს, თავის კვალს ამ ქერქის ამგებ შრეებზე—ქანებზე სტოვებს. შრეებზე აღბეჭდილ გეოლოგიურ მოვლენათა „წაკითხვით“ ჩვენ შევძლებთ დედამიწის ისტორიის ყოველი მოვლენის აღდგენას.

ამგვარად, შრეები, რომლებითაც მიწის ქერქია აგებული, შეიძლება წიგნის ფურცლებს შევადაროთ. სამუშაოდ, ზოგჯერ ამ „ქვის წიგნიდან“ სხვადასხვა რთული გეოლოგიური მოვლენების ზეგავლენით მრავალი ფურცელია ამოხეული, მაგრამ ასეთ შემთხვევაში გეოლოგი მაინც ახარხებს მიწის ისტორიის აღდგენას.

მკვლევარი-გეოლოგი აწარმოებს ბუნებაში მოგზაურობას და მოგზაურობის დროს ყოველგვარ გეოლოგიურ მოვლენებზე დაკვირვებას. ამ დროს მკვლევარს თანა აქვს გეოლოგიური ჩაქუჩი, რუკა, კომპასი, გამადიდებელი შუშა, ზურგის ჩანთა და სხვლე უბის წიგნაკი.

ჩაქუჩის საშუალებით გეოლოგი ახდენს ქანების მოტეხას, რუკაზე—აღნიშნავს ამათუიმ ადგილას შემჩნიულ მოვლენას, კომპასი მას სჭირდება შრეების გასაზომად და გზის გაგნებისათვის, გამადიდებელი შუშით ახდენს ნიმუშის წინასწარ შესწავლას, ზურგის ჩანთა საჭიროა ბუნებაში მოპოვებულ ნიმუშების სატარებლად, ხოლო უბის წიგნაკში მკვლევარი აწარმოებს სხვლე დაკვირვებათა ჩანაწერს.

მკვლევარ-გეოლოგის სხვლე დაკვირვებანი უმთავრესად ზაფხულის განმავლობაში სწარმოებს. სხვლე მუშაობის შედეგ სწარმოებს დაგროვილი მასალების დამუშავება-შესწავლა.

მთელი ეს მუშაობა ბევრ საინტერესო სახალისოს შეიცავს. ზაფხულის განმავლობაში გეოლოგს უხდება დაბლობებისა და მაღალი მთების მოვლა. მის თვალწინ იშლება ზურმუხტოვანი ფერადებით შექმნილი ველები და სპეტაკი თოვლით დაფარული მწვერვალები. მას ხშირად სჭირდება ქალაქებიდან და სოფლებიდან დაშორებით კარვებში ცხოვრება და ზოგჯერ ამხანაგებისა და საკუთარი თავისათვის მზარეულის მოვალეობის შესრულებაც. სხვლე მუშაობა გეოლოგისაგან დიდ ამბანობასა და ენერჯიას მოითხოვს, მაგრამ მის წინაშე წამოჭრილი საკითხები იმდენად მომხიბლავია, რომ მკვლევარი მას არ უშინდება.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე ბევრი რამ არის დღეს უკვე ცნობილი. დადგენილია, მაგალითად, რომ მთები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო აგებულებით, არამედ ხნოვანებითაც. ცნობილია, რომ ბუნებაში მოპოვება „ახალგაზრდა“ და „მოხუცი“ მთები. ახალგაზრდა — კავკასიონი, მოხუცი—ურალი. თვით ახალგაზრდა მთები ერთმანეთისაგან მეტნაკლები სიახალგაზრდადვით განსხვავდებიან. ახალგაზრდა მთების რიცხვს ვალთვნიან კავკასიონი და დასავლეთ ევროპის მაღალი მთები—ალპები, მაგრამ კავკასიონი უფრო ახალგაზრდაა, ვიდრე ალპები.

მრავალი მილიონი წლის წინათ ჩვენი სამშობლოს—საქართველოს ადგილას ზღვა იყო. იმ დროს შავი და კასპიის ზღვები ერთმანეთთან შეერთებული ყოფილა. ამ ზღვაში სხვაგვარი ცხოველები ცხოვრობდნენ, ვიდრე დღევანდელ შავსა და კასპიის ზღვაშია გავრცელებული. ამ დროს დედამიწის ზედაპირზე ჯერ კიდევ არ არაებობდა ადამიანი.

ამ მოვლენის დამამტკიცებელ საბუთებს ყოველი ფეხის ნაბიჯზე შეიძლება შევხვდეთ. იმდროინდელ ზღვას თავისი შესაფერისი ნალექებიც დაუტოვებია. ამ ნალექებში ზღვის ცხოველთა ნაშთებს ვპოულობთ. ეს ცხოველები ზღვაში ცხოვრობდნენ. სკვდილის შემდეგ მათი სხეული ზღვის ფსკერზე ვარდებოდა. ცხოველის ტანი, მისი რბილი ნაწილი, იხრწებოდა, მაგარი ნაწილი კი, ნიჟარა, ჩონჩხი, იფლობოდა ქვიშაში, შლამში და იმარხებოდა. დღეს განამარხებულ ცხოველთა ნაშთებს ვპოულობთ ბუნებაში.

ის ქვიშაქვი. რომელზეც თბილისში ფუნქცილორის რკინიგზაა გაყვანილი, ბლო-

მაღ შეიცავს მრავალი მილიონი წლის წინათ არსებული, დღეს კი სრულიად გადაშენებული ცხოველის — ნუმულიტის ნიჟარებს. ეს ნიჟარები ძლიერ პატარა ზომისაა და ამიტომ მის დასანახავად გამაღიღებელი შუშაა საჭირო.

თბილის-კოჯორის გზატკეცილის დასაწყისთან, ხევში, გამკვრივებულ თიხებზე ბლომად მოიპოვება თევზის ქერტლები და ხშირად თვით თევზის ჩონჩხის აღნაბეჭდებიც.

განამარხებული ნიჟარები მოიპოვებიან მცხეთა-ძეგვის მიდამოებში, ქუთაისში მდ. წყალწითელას ნაპირზე და თვით ქუთაისში, ქალაქის ქუჩებშიც შეიძლება გადაშენებულ და განამარხებულ ცხოველთა ნიჟარების შემჩნევა. ქუთაისში ქვაფენილებად გამოყენებულია თეთრი ქანი — კირქვა, რომელიც ბლომად შეიცავს განამარხებულ ნიჟარებს. ქვაფენილის გულდასმით დათვალიერების დროს ისინი ადვილად შეიძლება შემჩნეულ იქნან.


განამარხებულ ნიჟარათა ნაშთებს ჭარბად შეიცავენ ქალაქ მახარაძის მიდამოებში მდინარე ყუყის ნაპირზე გავრცელებული თიხები. ასეთივე ნაშთები ცნობილია ხობის რაიონში ხობის მონასტრის მიდამოებში და სხვაგან.

ზღვის ცხოველთა ეს ნაშთები იმაზე მიგვითითებენ, რომ ის ადგილი, რომელიც დღეს ხმელეთს უჭირავს, ზღვის ფსკერს წარმოადგენდა.

ჩვენი მშვენიერი ქალაქის — თბილისის მიდამოებს, შორეულ წარსულში ზღვა ჰფარავდა. ზღვის ქვეშ კი ვულკანური ამოფრქვევები ბობოქრობდა. ქუთაისის მიდამოებში ასეთივე ზღვისქვეშა ვულკანები მოქმედებდა კიდევ უფრო შორეულ წარსულში.

თბილისში, ქალაქის ფარგლებში, იქ, სადაც დღევანდელი „საბურთალო“, გეოლოგიურად სულ ცოტა ხნის წინათ დიდი ტბა ყოფილა. ამ ტბაში დაგროვილი მასალა ზოობარკის მახლობლად, საქართველოს სამხედრო გზის დასაწყისთან არის გამოჩენილი ახლა.

მრავალი მილიონი წლის წინათ დედამიწის ზედაპირზე გავრცელებული ყოფილან უზარმაზარი ქვეწარმავალი ცხოველები. ზოგიერთი მათგანის ტანის სიგრძე 30 მეტრს აღწევდა. შემდეგში ეს ცხოველები სრულიად ამოწყდნენ, გადაშენდნენ. დღევანდელი კუ, ნიანგი, ხვლიკი და გველი ამ



გაქვავებული ზღვის ზღარბი ხარაგოულიდან

საშინელი ცხოველებს უბადრუკ ნაშთებს წარმოადგენენ.

ახლობელ წარსულში კავკასიონის უმაღლესი მწვერვალები — იალბუზი და მყინვარი ცეცხლისმფრქვეველ მთებს წარმოადგენდნენ. მათი მწვერვალებიდან გამუდმებით დიოდა კვამლი, ხოლო ზოგჯერ საშინელი ძალით მიწის გულიდან გამდნარნი ნივთიერება — ლავა იტყორცნებოდა.

გეოლოგიური გამოკვლევებით დამტკიცებულია, რომ სიცოცხლის წარმოშობისა და განვითარებისათვის საჭირო იყო არა რამდენიმე დღე, როგორც ამას მოგვითხრობს რელიგია, არამედ მრავალი მილიონი წელიწადი. დედამიწაზე სიცოცხლს გაჩენიდან დღემდე ორი ათასი მილიონი წელიწადია გასული. ადამიანის წარმოშობიდან ერთი მილიონი წელიწადი გასულა. ამ ხნის განმავლობაში არა მარტო დედამიწის ზედაპირი განიცდიდა ცვლილებებს, არამედ სიცოცხლეც — ცხოველები და მცენარეები განიცდიდნენ გარდაქმნას.

დედამიწის ქერქის ამგები შრეების შესწავლით, მათზე აღბეჭდილ საილუმოებათა გამოცნობით შესაძლებელია მიწისა და სიცოცხლის განვითარების სურათის აღდგენა.

აი, ამ მოვლენებისა და კიდევ სხვა მრავალი საინტერესო ამბების შესახებ მოთხრობილია ამ თავისებურ წიგნში — „ქვის წიგნში“.

დიდია და მდიდარი ჩვენი ქვეყანა

ს. ბარბუხაძე

უ რ ა დ ი — ო ქ რ ო მ ი წ ა *

სტალინური ურალი

ოქტომბრის გამარჯვებიდან რამდენიმე თვის გასვლის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების მორიგ ამოცანებს რომ სახავდა, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი წერდა: „რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა იმდენად ხელსაყრელ პირობებშია, რომ მას აქვს... გიგანტური მარაგი მადნისა (ურალში), სათბობისა (დასავლეთ ციმბირში)...“ ლენინმა წინასწარ განჭვრიტა, რომ უახლესი ტექნიკის საშუალებით ამ ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავება საფუძველს ჩაუყრიდა ჩვენი მრეწველობის არნახულ განვითარებას.

დაიწყო სამოქალაქო ომი. სამშენებლო ამოცანები დროებით უნდა გადადებულიყო. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ შეუდგა ჩვენი ქვეყანა მშვიდობიან შრომას, და ლენინის იდეა მაშინ განავითარა და განახორციელა ამხანაგმა სტალინმა.

ჩვენ სტალინის გეგმით აღმოსავლეთში დაეიწყეთ ჩვენს ქვეყანაში მეორე ქვანახშირ-მეტალურგიული ბაზის მშენებლობა (პირველი ბაზა უკრაინაში იყო), გავეართიანეთ კუზნეცის ქვანახშირი და ურალის მადანი.

რამდენიმე წელში, თითქოს ზღაპარში, გადამხმარ ტრამალში, სადაც მდინარე ურალია, რომელსაც ყაზახები წინათ იაიკს ეძახდნენ, მთა მაგნიტნიას ძირში აშენდა უზარმაზარი ქარხანა და დღეს მთელს მსოფლიოში ცნობილი ქალაქი მაგნიტოგორსკი.

მაგნიტნიას ფერდობებში მანქანები თხრიან ათი მეტრის სიგრძე უზარმაზარ ხვრელებს. ამ ხვრელებში აწყობენ ძლიერ ფეთქებად ნივთიერებას — ამონალს. გაისმის აფეთქების ხმა, ქალაქ მაგნიტოგორსკში მისგან ირყევა შენობები. შემდეგ ექსკავატორები და ელმავლები მიაშურებენ აფეთქების ადგილს. ელმავლებს უბია

თვითგანტვირთადი ვაგონები. მათ ავსებენ მადნით და სამსხვრევ ფაბრიკაში გზავნიან, საიდანაც მატარებლები დღისით და ღამით მიაქროლებენ მადანს ბრძმელებისა და მარტენის ლუმელებისათვის.

მაგნიტკას ბრძმელები აძლევენ ჩვენს ქვეყანას თუჯს, მარტენის ლუმელები კი ფოლადს. საგლინავ ცეხებში ფოლადი იქცევა რელსებად, ფოლადის კონსტრუქციების კოჭებად. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არის ისეთი ქალაქი, — ასევე ქარხანა, რომელიც არ იყენებდეს მაგნიტოგორსკში გამოდნობილ ურალის ლითონს.

მთა მაგნიტნიას მახლობლად წინათ იყო წყნარი სავაჭრო ქალაქი ჩელიაბა, მტვრიანი ქუჩებითა და ბინძური მოედნებით. ახლა მის ადგილას გადაკიმულია საოლქო ცენტრი ჩელიაბინსკი, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი სამრეწველო ცენტრი. მაგნიტოგორსკის ფოლადი აქ იქცევა მძლავრ მუხლუნა ტრაქტორებად. ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხანა ერთ-ერთი უდიდესი ქარხანაა მსოფლიოში.

სატრაქტორო ქარხნის გვერდით ამაყად ამართულა ფეროშენადნობთა ქარხნის კორპუსები. იშვიათი ლითონები, ურალის მიწის საჩუქარი, აქ გარდაიქმნება შრომასა და ბრძოლაში ფასდაუდებელ მანქანებად და აპარატებად.

სვერდლოვსკის განაპირას, იქ, სადაც სულ ახლახან ობლად იდგა პატარა სამჭედლო, ათეულ კვადრატულ კილომეტრებზე გადაჭიმულია ურალის მძიმე მანქანათმშენი ქარხნის ცეხები. რატომ ჰქვია ამ ქარხანას ასეთი სახელი? იმიტომ, რომ აქ ეთდება ბრძმელები, მარტენები, ბლუმინგები. ვიცავ კი უნახავს ბრძმელი, ვინც იცის, რა რიგ უზარმაზარია იგი, მას შეუძლია წარმოიდგინოს, თუ რა დიდი და მძლავრი უნდა იყოს ამგვარი რამის მკეთებელი ქარხანა. მთელს მსოფლიოში მხოლოდ რამ-

* დასაწყისი იხ. „პიონერი“ № 9.



დენიშე ისეთი ქარხანაა, როგორცაა ურალმაში (ურალის მანქანათსაშენი ქარხანა).

XV საუკუნის დასაწყისში მდინარე კამის სათავესთან ვაჭრებმა სტროგანოვებმა ააშენეს რუსეთში პირველი მარილსახდელი ქარხნები. ამ მარილსახდლების მახლობლად გაშენდა ქალაქი სოლიკამსკი. სტალინურ ხუთწლიელებში სოლიკამსკის გვერდით შეიქმნა მსოფლიოში უმძლავრესი ბერეზნიკის ქიმიური კომბინატი, ხოლო ქალაქის ქვეშ მიწა ყოველმხრივ დაიქსელა კალიუმის მადაროებით, რომელნიც ამარაგებენ ნედლეულით როგორც ამ, ისე სხვა კომბინატებს.

თუ ჩახვალთ კალიუმის კომბინატის მადაროში, გეგონებთ—რადაც ზღაპრულ ქვეყანაში მოგხვდით: ჭერი, იატაკი, გასასვლელები — ყველაფერი მორთულია ფერად-ფერადი ქვებით. ჭერიდან ბროლის ქაღებზეთ გადმოვიდულა კალიუმის მადარის ლოლუები. ამ ზღაპრულ სამეფოში მუშაობენ საყელავი მანქანები, ფოლადის კბილებით ღრღინან ცისარტყელას ფერებით მოელვარე მადაროს კედლებს, კონვეიერებს ამოაქვთ მარილის გროვები მიწის ზედაპირზე.

სქელი წიგნი გამოვა, თუნდაც მხოლოდ რომ ჩამოვთვალოთ ის ქარხნები, ფაბრიკები და მადაროები, რომლებიც ურალს შეემატა სტალინურ ხუთწლიელებში.

დაიწყო ომი — და ურალი გადაიქცა საბჭოთა კავშირის მთავარ არსენალად. ტანკები და ზარბაზნები, ჭურვები და თვითმფრინავები მისცა ფრონტს გოლიათმა ურალმა. 1943 წლის წინახანებში ურალელები სწერდნენ ამხანაგ სტალინს:

„ფრონტელები აქებენ ჩვენს ტანკებს. მართლაც კარგი მანქანებია და ისინი მთლიანად ურალშია გაკეთებული. მადანი მოგვცა მთამ ვისოკაია და მთამ ბლაგოდატ. ტანკებისათვის ლითონი გამოადნეს და გაგლინეს სვერდლოვსკის, ტაგილის, სეროვის, პერვოურალსკის, ალაბაევკისა და კუშვის მეტრომედლებმა, მეფოლადეებმა და მგლინაევებმა. ჩვენმა იშვიათმა ლითონებმა ჯავშანი უვნებადი გახადა. კრასნო-ურალსკმა, კიროვოგრაძმა, რევდამ, კამენსკ-

ურალსკიმ სპილენძითა და ალუმინით მარაგეს მეტანკეები. ოლქის სხვა ქარხნებიდან ტანკებმა მიიღეს ძრავები, ზარბაზნები, ხელსაწყოები, აპარატები, რადიოგადამცემები, საბრძოლო მარაგი. და ჩვენ ვიბრძვით იმისათვის, რომ მალე ჩვენი ტანკები აღვილობრივი საწვავი მასალით ავაყვასოთ. ჩვენ ტანკებს ვტვირთავთ ტავილში გაკეთებულ რკინიგზის ბაქანზე. ორთქლანავლების ლუმელებში ვყრით ევგორშინსკელი და ბოგოსლავსკელი მადაროს მუშების მიერ მოპოვებულ ნახშირს, — და მიიღე, ფრონტო, ახალი თავზარდამცემი მანქანა! მას შეტევაზე წაიყვანს მაგარი ურალელი ვაჟი—ტანკისტი, რომელსაც ეცმება ჩვენი არამილური ქსოვილის ტანისამოსი და „ურალობუვის“ ქარხნის ფეხსაცმელები“.

ბერლინადის მივიდნენ ურალის ტანკები. ომი გამარჯვებით დამთავრდა, და ჩვენმა ქვეყანამ კვლავ მშვიდობიან შრომას მიჰყო ხელი. ახალი სტალინური ხუთწლიანი გეგმა დიდ როლს აკუთვნებს ურალს. კიდევ უფრო მეტად გაიზარდება ურალის წონა ქვეყნის სახალხო მეურნეობაში.

ხუთწლიეში აშენდება ტავილისა და ჩელიაბინსკის ახალი მეტალურგიული ქარხნები, სამხრეთ ურალში გაკეთდება პირველი ჯერი ახალი სპილენძსადნობი კომბინატისა. ურალში შეიქმნება კიდევ ერთი მძიმე მანქანათსაშენი ქარხანა, აშენდება კალიუმის მეორე კომბინატი. მწყობრში ჩადგება 49 ახალი მადარო და კვეთილი, რომლებიც ყოველწლიურად მისცემენ სამშობლოს 19 მილიონ ტონა ნახშირს. ქალაქ მოლოტოვის ზევით კამას გადალობავს უზარმაზარი კაშხალი, და მძლავრი მდინარის წყალი მიაშურებს ტურბინებს, რომ ენერგია მისცეს ახალ სამრეწველო გიგანტებს.

ქარხნისა და მადაროების გვერდით კი გაშენდება კეთილმოწყობილი ქალაქები და სოფლები—ლამაზი, საცხოვრებლად მოხერხებული სახლებით, კლუბებითა და სკოლებით, თეატრებითა და მღაზიებით.

ულევია ურალის სამდიდრე, უდრეკია ნებისყოფა და დაუშრეტელია ენერგია მრავალი მილიონი მშრომელებისა, რომელნიც სტალინური გეგმებით ეუფლებიან ამ სიმდიდრეს და ხალხის საკეთილდღეოდ იყენებენ მას.





როგორ ატარებენ ცხოველები ზამთარს

შენახი უკვე დაიკრიფა.

ვაზს აქა-იქლა შერჩენია შეყვითლებული და შემხმარი ფოთლები.

აკიდობითა და ჯაგნებით არის აკუნწლული სხვენის ბოძები; რა ვუყოთ, რომ მტყენებს ჩასკნობიათ მარცვლები, სამაგიეროდ უფრო მეტად ჩაშაქრებულან.

ქვევრებში მაქარს დაუდღლია.

ჩურჩხელები ჩამოუხსნიათ ხარხებიდან და დაუბინავებიათ საზამთროდ.

გახშირებული წვიმა და ქარბუქი კარგს არაფერს მოასწავებს: უთუოდ ძალე თოვლს გადმოყრის და ორიოდ თვის წინათ საამუროდ აფერადებული მინდორ-ველები თეთრად გადაიპენტება.

მოდის ზამთარი და თან მოაქვს სუსხი.

მაგრამ ჩვენ რა გვიჭირს, თავი ქულში გვაქვს: დავაგუზგუზებთ ბუხარში ცეცხლს, ამოვალაგებთ საზამთრო ტანსაცმელს და ასე შევეგებებით თოვლის პაპას.

არც ზამთრის სიამოვნებას მოვიკლებთ: ციგებით სრიალითაც კარგად ვიჯერებთ გულს.

მაგრამ რა ქნან საწყალმა გარეულმა ცხოველებმა, რომელთაც ცალკე სიცხვე ემუქრება. ცალკე შიმშილი? მათ ვინღა დაუნთებს ბუხარს ან ვინ დააპურებს?

ერთი შეხედვით ისე გვეჩვენება, თითქოს ისინი სრულიად უილაჯონი არიან ზამთრის სუსხთან და შიმშილთან ბრძოლაში.

არც ასეა საქმე.

ამ ცხოველებს შემუშავებით სხვადასხვა უნარი ზამთრის პირობებთან შესაგუებლად.

ვინ არ იცნობს მღრღნელ ცხოველებს, ვის არ გაუგონია, თუ რა ზარალს აყენებენ ისინი ჩვენს ნათესებს. მინდვრის თავვი, ტყის თავვი, ზაზუნა და სხვა მათი მსგავსი ცხოველები ჩვენი პურეული მცენარეების მართლაც რომ მღრღნელები არიან.

გარდა იმისა, რომ თავისი ყოველდღიური საჭიროების დაკმაყოფილებით გაზაფხულიდან შემოდგომამდე ანადგურებენ ჩვენს მოსავალს, ზამთრის თადარიგსაც იჭერენ და სოროებში იგროვებენ მარცვლეულის მარაგს.

ზოგი მღრღნელის სოროში უნახავთ ცალ-ცალკე დაგროვებული სხვადასხვა ჯიშის მარცვლეული.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი მზრუნველობით დახარისხება მღრღნელის უნარით კი არ უნდა აიხსნას, არამედ იმიტომ რომ სხვადასხვა ჯიშის მარცვალი სხვადასხვა დროს მწიფდება. ალბათ, ამიტომაც ისინი ცალ-ცალკე დაგროვებული, თითქოს მზრუნველი დიასახლისის ხელს დაუხარისხებიათ.

ზოგი მღრღნელის სოროში მარცვლეულის მარაგი 7-8 კილოგრამს აღწევს. რას დააკლებს ასეთ ცხოველს ზამთარი!



ცხოველს, რომელიც 200 გრამამდე იწონის, 8 კილოგრამი საკვები ზამთარში ჭირადაც ეყოფა და ლხინადაც.

ასეთი ცხოველები სოროს ისე იკეთებენ, რომ საცხოვრებელიც ჰქონდეთ და საკუჭნაოც. საცხოვრებელი საკანი მოფენილია თივით. აქედან ერთი გზა საკუჭნაოსკენ მიდის, მეორე—გარეთ. ზამთარში ეს გზა მიწით ამოივსება ხოლმე და ასე ზის ცხოველი თავის სოროში თბილად და რბილად. მესამე დერეფანი ჩიხს წარმოადგენს. ზამთარს რომ გადაიტანს ცხოველი, ამ ჩიხს გათხრის ზედაპირამდის და ამოძვრება.



ცხოველები სხვა ხერხებითაც იცილებენ ზამთრობით შიმშილს. თავისებურ ხერხს მიმართავენ ამ მხრივ თხუნელა. ზამთრობით ის უფრო ღრმად მიდის მიწაში, ვინაიდან ჭიაყელებიც, რომლებიც მის მთავარ საკვებს წარმოადგენენ, ზამთრობით უფრო ღრმად ნიძვრებიან მიწაში. შემჩნეულია, რომ თუ ზამთარი გრძელი და სუსხიანი დაიჭირა, თხუნელაც იმარაგებს ჭიაყელებს, თანაც მათ იმდენად აზიანებს, რომ არც დაიხოცონ და არც მოძრაობის უნარს ჰქონდეთ.



საკვების მომარაგების უნარი ყველა ცხოველს არ შემუშავებულია. ასეთი ცხოველები ზამთრის სუსხს უმეტეს შემთხვევაში ძილში ატარებენ. მძინარე ცხოველი მოსვენებულ მდგომარეობაშია, არ მოძრაობს და ამიტომ უსაქმლობასაც უფრო ადვილად იტანს, საკვებად იყენებს ცხიმის იმ მარაგს, რაც დაჰკროვებია ორგანიზმში მსუყე შემოდგომის განმავლობაში. ამის მავალითს წარმოადგენს დათვი.



დათვის ზამთრის ძილი რომ უმთავრესად საკვების უქონლობით არის გამოწვეული, იქიდანაც ჩანს, რომ ზოოპარკებში, სადაც ცხოველებს საკვები არ აკლიათ, დათვი მაშინაც არ იძინებს, როცა ზამთარი ძლიერ მკაცრი და ხანგრძლივია.

ზამთარს ძილში ბევრი სხვა ცხოველიც ატარებს.

ყველას შეუმჩნევია რომ ღამურები, რომლებიც ასე მრავლად დაფრინავენ გაზაფხულისა და ზაფხულის ღამეებში, შემოდგომიდან სრულიად არ ჩანან.

ღამურას ზამთარში ღრმა ძილით სძინავს. ის ბინავდება სადმე მყუდრო, მიუვალ ადგილას, რომელიმე ნანგრევში, გამოქვაბულში ან ფულუროვებში. ჩაეჭიდება უკანა ფეხების კლანჭებით რაიმე უსწორმასწორობას, ჩამოეკიდება, მოიკუნტება, გამოეხვევა თავისავე ფრთებში და ასე ატარებს ზამთარს. ხშირად რამდენიმე ღამურა ერთად მონახავს დასაზამთრებელ ადგილს, ერთმანეთს მიეკვრებიან და ასე მოკუნტულნი იძინებენ. რაც უფრო ნაკლები ადგილი უჭირავს ცხოველს, მით უფრო ნაკლები ზედაპირი აქვს სხეულს და ამიტომ უფრო ნაკლებად კარგავს სითბოს.



ბაყაყებიც ძილში ატარებენ ზამთარს. როგორც კი მოახლოვდება შემოდგომა, ბაყაყი წყვეტს თავის მომამბეზრებელ ყიყინს და ემზადება ზამთრის ძილისათვის. ზამთარს ატარებს წყალსატევში. თუმცა ზოგი

ბაყაყი ხმელეთზეც იძინებს საზამთროდ: მოთავსდება სადმე ხავსით დაფარულ ადგილას ან ფულურო ხეში და არის იქ გაზაფხულდამდის.

შეიძლება ითქვას, რომ ზამთრის ძილი ყველაზე მეტად გავრცელებულია მწერებს შორის. ცნობილია, რომ მწერი გამრავლებისას რამდენსამე საფეხურს გაივლის: კვერცხის, მატლის, ჭუპრის და ზრდადასრულებული მწერისა. ზოგი მწერი კვერცხის საფეხურზე იზამთრებს, ზოგი მატლის, ზოგი კი ჭუპრისა და ზრდადასრულებული მწერის საფეხურზე.


ზრდადასრულებულ ასაკში იძინებს საზამთროდ ზოგიერთი პეპელა. ასევე იზამთრებს მალარიის კოლოც. მამალი კოლოები შემოდგომაზე იღუპებიან, ხოლო განაყოფიერებული დედალი კოლოები ზამთარს ძილში ატარებენ და გაზაფხულის დადგომისთანავე დებენ კვერცხებს.

ჭუპრის ასაკში ატარებს ზამთარს კომბოსტოს პეპელა. რომელსაც სხვანაირად თეთრულას უწოდებენ. თეთრულას ჭუპრი უმეტეს შემთხვევაში ბოსტნის ახლოს ღობეზე ან ხეზეა მიმაგრებული; ამ ჭუპრიდან გაზაფხულზე გამოფრინდება ზრდადასრულებული თეთრულა.

მატლები უმეტეს შემთხვევაში მიწაში ატარებენ ზამთარს. ამის მაგალითს წარმოადგენს მაისის ხოჭო.

იმ მწერთაგან, რომლებიც კვერცხებს სტოვებენ საზამთროდ, ცნობილია კალია. კალია შემოდგომაზე დებს მიწაში რამდენიმე ათეულ კვერცხს, თვითონ კი კვდება. კვერცხები იზამთრებენ და მატლები გაზაფხულზე იჩეკებიან.

ასე შეჭუებიან ცხოველები ზამთრის სუსხსა და უსაქმლობას. თუმცა არიან ისეთი ცხოველებიც, რომელთაც არც ერთი ეს თვისება არ გააჩნიათ ზამთრის გადასატანად. ასეთი ცხოველები დროზე უშველიან ხოლმე თავს და შემოდგომის მოახლოებისთანავე თბილი ქვეყნებისკენ მიაშურებენ. თავდაცვის ასეთი ხერხი ყველაზე მეტად ფრინველებს სჩვეიათ.



სოცოხლოის ხანგრძლიობა

ცხოველთა სიცოცხლის ხანგრძლიობა სხვადასხვანაირია. ზოგი მათგანი დიდხანს ცოცხლობს, ზოგის სიცოცხლე კი ხანმოკლეა. მეცნიერული დაკვირვებებით დადასტურებულია, რომ ხშირად სიცოცხლის ხანგრძლიობის ეს სხვადასხვაობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ცხოველის ზრდის პერიოდთან. თუ ცხოველის ზრდა დიდხანს მიმდინარეობს, მაშინ იგი მეტხანს ცოცხლობს; თუ, პირიქით, ცხოველი ადრე ამთავრებს თავის ახალგაზრდობას და მალე ხდება მომწიფებული, დასრულებული ცხოველი, მაშინ მისი სიცოცხლე ხანმოკლეა. ასე, მაგალითად, ძაღლის ზრდა ორ წელიწადში მთავრდება. ორ წელს რომ გადასცილდება, ის უკვე ლეკვი აღარაა. სამაგიეროდ მისი სიცოცხლეც ხანმოკლეა; ძაღლი მხოლოდ 10-15 წელიწადს ცოცხლობს. ცხე-

ნის ზრდა, ასე ვთქვათ, მისი კვიცობის პერიოდი, ხუთ წელიწადს გრძელდება, ამის მიხედვით სიცოცხლეც შედარებით ხანგრძლივი აქვს: ცხენი 30-40 წელიწადს ცოცხლობს.

აქედან ადვილი მისახვედრია, რომ ცხოველის სიცოცხლის ხანგრძლიობა 5-8-ჯერ მეტი ყოფილა მისი ზრდის პერიოდზე.

თუ რამდენ ხანს ცოცხლობს ესა თუ ის ცხოველი, ფრინველი, თევზი, მწერი ან მცენარე, უთუოდ საინტერესოა, მაგრამ პასუხი ამ კითხვაზე მეტწილად მერყევიან, სხვადასხვანაირი. ჩვენ ქვემოთ მოგვყავს შემოწმებული ცნობები, რომლებიც ძირითადად ამოღებულია ის. სლონიმის წიგნიდან „ჩვენი დედამიწა“ და პროფესორ მ. როხლინის წერილიდან „ბრძოლა ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლიობისათვის“.

რამდენ ხანს ცოცხლობს

ცხოველი	კურდღელი . . . 7-8	თევზი
სპილო . . . 150-200 წელიწადს	შინაური	ქარიყლაპია კობრი . . . } 100 წელიწადზე ორაგული . . . } მეტს
ვეფხვი . . . 40-50 "	კურდღელი . 5-7 "	
დათვი . . . 40-50 "		
მარტორქა . 40-45 "	ფრინველი	
ცხენი . . . 30-40 "	ბუ	მწერი
ბეჭემოტი . 40 "	ძერა	
კეთილშობილი ირემი . . . 30 "	თუთიყუში . . .	პეპელა . . . 15 დღეს (არიან ისეთი პეპლები, რომ უგბიც მხოლოდ რამდენიმე საათს ცოცხლობენ).
ლომი . . . 20-25 "	სვავი	დედაფუტკარი . 6-7 წელიწადს
ხარი . . . 15-20 "	ყორანი	დედაქიანტველა . 10 "
ჩრდილოეთის ირემი . . . 16 "	გედი	
თხა . . . 12-15 "	ზღვის იხვი . . .	
ცხვარი . . . 10-15 "		მცენარე
მგელი . . . 12-15 "	არწივი 100 წელიწადს	ბალახი . . . ერთ-ორ წელიწადს.
ძაღლი . . . 10-15 "	შინაური ბატი . . 80 "	ვაზი 100 წელიწადს
მელა . . . 10 "	ყარყატი 70 "	მუხა 1.000 "
კატა . . . 10 "	მტრედი 40-50 "	აფრიკული . . .
ციცი . . . 10-12 "	გუგუთი 40 "	ბაობაბი . 5.000-6.000*.
	შინაური	
	ქათამი . . . 15-20 "	



ნორჩ ავტორთა შემოქმედება



ჩვენს ვაგონში სიმღერისა და მხიარულების ხმა მთელი დამე არ შეწყვეტილა. გათენებისას მატარებელს უკვე გვირავი გავლო და ვაკეზე სწრაფად მიგვაქროლებდა. ბევრი ჩვენგანი პირველად ხედავდა იმერეთს. მისი კეკლუცი ბუნება თავისი დაბურული ჭალებით, ანკარა მდინარეებითა და ზურმუხტოვანი ველებით თვალს იტაცებდა.

მაგონდებოდა შარშანდელი ლაშქრობა კახეთში, ალაზნის ველზე დაგვათენდა, ჩვენს წინაშე გადაიშალა თვალშეწვენი სივრცე, ათასფრად აყვავებული და აბიზინებული. ცალ მხარეს ჩამწკრივებულიყვენ მწვანე ვენახებში ჩაფლული სოფლები, მეორე მხარეს კი ღელავდნენ ყვითელი ყანები. ამომავალი მზის შუქზე მათ შორის ბრწყინავდა ალაზანი. ყანების ზღვას ეკვროდა ტყით შემოსილი გორაკები და მთელ ამ მშვენიერებას აგვირგვინებდნენ კავკასიონის მთები, რომლებიც მეფურად ვადმოჰყურებდნენ მიდამოს. ამ სურათს წაღარებდით იმერეთის ბუნებას და არ ვიცოდით, რომლისთვის მიგვეცა უპირატესობა.

კახეთის ბუნება დიდებულია და მშვიდი, იმერეთისა — მკვირცხლი და მოცინარი. კახეთში თვალს იტაცებდა უსაზღვრო მინდრები და ცადაზიდული მთები, იმერეთში კი ვხედავდით პატარა გორაკებს, წვრილწვრილი ნაკვთებით აჭრელებულს. კახეთის ბუნება ადამიანში აღტაცებასა და აღფრთოვანებას იწვევს, იმერეთისა კი მას საოცნებოდ და სამხიარულოდ იზიდავს.

დილის 9 საათი იქნებოდა, ქუთაისში რომ ჩავედით. მწვანეში ჩაფლულ ქალაქს ძალიან უხდება აკაკი წერეთლის სიტყვები: „მშვენიერო ქუთაისო, საეარლო და სამაისო“.

განსაკუთრებით ლამაზია ქუთაისის ჩრდილოეთის გარეუბანი, სადაც ბაგრატის ტაძარი და ძველისძველი ციხის ნანგრევები ვადმოჰყურებენ რიონის ველებს.

დიდებულია ბაგრატის ტაძარი, მაგრამ საუცხოოა გელათი! აქ ბუნება და ადამიანის ხელოვნება ჯადოსნურად შეერთებულან. გელათის ტაძარი ხუროთმოძღვრების შედეგია. იგი ისეთი ხელოვნებითაა აშენებული, ყველა მისი ნაწილი ისე ჰარმონიულად და ისეთი გემოვნებითაა შერწყმული, რომ ძალაუფებურად იტაცებენ მნახველს.

მზე თანდათან უახლოვდება დასავლეთით გადაჭიმულ ქედებს. ბოლოს იგი ჩერდება ერთი მთის წვეროზე და იქიდან ტყორცის ალმაცერ სხივებს, თითქოს ქვეყანას ეთხოვებო. მაგრამ უკებ მოსწყდა, მთას მიეფარა. მთელ მიდამოს ჩრდილები დაეფინა, მხოლოდ კავკასიონის მწვერვალები ისევ ისე ბრწყინავდნენ მზეზე.

დამე სალაშქრო კარავში გაფათიეთ. დილით ჩვენ ფეხქვეშ გაშლილიყო ნისლის ზღვა, რომელიც ჩვენგან მთელ არემარეს ფარავდა. ისეთი შთაბეჭდილება გვექმნებოდა, თითქოს მთელი ქვეყანა სადღაც უფსკრულში დაინთქა და დავრჩით მხოლოდ ჩვენ და კავკასიონის მწვერვალები, რომლებიც დევებივით ამოზიდულიყვენ ნისლიდან. მოახლოვდა მზის ამოსვლაც, და კავკასიონი ჰკრთალი ვარდისფერი შარავანდელით შეიქოსა. ეს შარავანდელი ნელ-ნელა წითლდებოდა, და დღეს სინათლე ემატებოდა. ცაზე უკანასკნელი ვარსკვლავები ქრებოდნენ. ბოლოს კავკასიონის თხემზე ვადმოვორდა ოქროსფერი დისკო და თვალის მომჭრელი სხივები გვესროლა. ნისლი ვაიფანტა და თალწინ წარმოვივდგა დილის ხამით მორყული იმერეთის ვაკე, რომელიც ათასფრად ეღვარებდა მზეზე.

ნოდარ ნათაძე
X კლასის მოსწავლე



ბეისაყი. — ნახატი მოსწავლე ა. გაჩეჩილაძისა.

დილის გათავისმართებელი ვარჯიში

ყოველმა პიონერმა დილით, სკოლაში წასვლას წინ, როგორც კი შეასრულებს დილის ტუალეტს და ვიდრე ისაუზმებს, უნდა ივარჯიშოს. როგორც პირის დახანა ჩვენთვის ყოველდღიურ ჩვევად გადაქცეული, ისეთივე ჩვევად უნდა გადაიტყოს დილის ვარჯიში.

აქ სულ 9 ძირითადი ვარჯიშია მოცემული (გოგონებისათვის). პირველ ორსამ დღეს თითოეული ვარჯიში შეამოწმეთ სურათის მიხედვით და დაახუსტეთ სარკის დახმარებით. როდესაც თითოეულ ვარჯიშს

კარგად დაეუფლებით, შემდეგ თამაშად შეგიძლიათ შეასრულოთ მთელი კომპლექსი 10-15 წუთში.

კარგ შედეგებს მიაღწევთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყოველდღე ივარჯიშობთ, თუ არც ერთ დღეს არ გამოტოვებთ.

15 წუთის ვარჯიში ყოველდღიურად საკმარისია იმისათვის, რომ მთელი დღე მხნედ გრძნობდეთ თავს. მაშ, დაეიწყეთ!

ვარჯიში № 1 (სურ. 1).

ხელები თანდათან გაშალე ორივე მხარეს, ასწი ხევით და შეაერთე ხელის თითები. ამავე დროს აიწი ფეხის თითებზე. შემდეგ დაეშვი საწყის მდგომარეობაში*. ხელები ნელ-ნელა ჩამოეშვი. ტემპი ნელი. ვარჯიში გაიქეორო 4-6 ჯერ. ხელების აწევის დროს—ჩაისუნთქე, ხელების დაშვების დროს—ამოისუნთქე.



სურ. 1

ვარჯიში № 2 (სურ. 2).

ფეხის თითები და ქუსლები ერთად. ჩაჯექი. მუხლები ერთად. ხელის თითებით შეეხე იატაკს. დაუბრუნდით საწყის მდგომარეობაში. ტემპი ნელი და თანმიმდევრული. ჩაჯდომისას—ამოისუნთქე, აღდგომისას—ჩაისუნთქე.



სურ. 2

ვარჯიში № 3 (სურ. 3).

დაწევი ზურგზე ფეხები მოხარე მუხლში. შემდეგ გაშალე ფეხები მუხლში და ნელა დაუშვი იატაკზე. დაუბრუნდი წინა მდგომარეობას, ესე იგი ფეხები კვლავ მოხარე. ხელის გული დაბჯენილი გქონდეს იატაკზე. თავი არ მოაშორო იატაკს. ტემპი ნელი. გაიმეორე 6-8 ჯერ.



სურ. 3

ვარჯიში № 4 (სურ. 4).

საწყისი მდგომარეობა*). მარცხენა ხელი ზურგზე დაინარე წინ. მუხლებში არ მოინარეო, შეეხე მარჯვენა ხელის თითებით იატაკს ფეხის თითებს შორის. შემდეგ გასწორდი და გამოიკვალე მდგომარეობა: ახლა მარჯვენა ხელი შემოიდევინე ზურგზე ტემპი საშუალო. გაიმეორე ვარჯიში 7-8 ჯერ თითო ხელის მიმართ. დახრისას—ამოისუნთქე, წელში გასწორებისას—ჩაისუნთქე.



სურ. 4

ვარჯიში № 5 (სურ. 5-6).

აიქნე ხელები ერთად ხვევით ქუსლები ერთად. ხელები სხეულს გასწვრივ შევეულად.



სურ. 5



სურ. 6



სურ. 7



სურ. 8

ით—მოძრაობა წინ. შემდეგ ხევიდან ჩამოიქნე ხელები და გასწიე უკან რამდენადაც შეძლებ. თავი ასწი ხევით. წელში არ მოინარეო. ტემპი საშუალო თანდათან აჩქარებით. გაიმეორე 7-8 ჯერ.

ვარჯიში № 6 (სურ. 7-8). ხელები ჩამოშვებულად, პასიურად დაიჭირე განხე სხეული მიბრუნე მარჯვნივ, შემდეგ—მარცხნივ. თავი და ხელები ააყოლო ნომარობას ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ. გაიმეორე 6-8 ჯერ თითოეული მიმართულებით. სუნთქვა ზომიერი.

ვარჯიში № 7 (სურ. 9-10). მარჯვენა ხელით დაეხვიე სკამის საზურგეს. ერთდროულად აიქნე წინ—ხევით მარცხენა ფეხი—და უკან—ხევით მარცხენა ხელი. შემდეგ ერთდროულად მარცხენა ფეხი უკან. მარცხენა ხელი—წინ. ვარჯიში აწარმოე შეუზღვრებლად. ხელი და ფეხი აიქნე თავისუფლად. ტემპი საშუალო, გაიმეორე 4-6 ჯერ მარცხენა ხელით ამდენჯერვე—მარჯვენათი. სუნთქვა ზომიერი.

ვარჯიში № 8 (სურ. 11). ხტომა ადგილზე ფეხის თითებზე. ფეხები მუხლებში ოდნავად მოხარე ჩაბუქნის დროს. ტემპი სწრაფი. სუნთქვა ზომიერი.

ვარჯიში № 9. იარე ჯერ სწრაფად, შემდეგ თანდათან შეანელებ ტემპში. სხეული და ხელები მოშვებულია სიარულისას. ხანგრძლიობა 20-30 წამი. ისუნთქე ღრმად. სიარულის შემდეგ დადექი კედელთან და მთელი სხეულით მიეხვიე მას—ქუსლებიდან დაწყებული და კეფით გათავებული (სურ. 12). შეინარჩუნე სხეულის ასეთი მდგომარეობა და იწეე სიარული, იარე ასე გაკიმული 10-15 წამი.



სურ. 9



სურ. 10



სურ. 11



სურ. 12



ვის გაიმარჯვებს?

პასუხი VII სერიაში

1. „პიონერი“ უცხო სიტყვა და ნიშნავს პირველს, მოწინავეს, ნოვატორს, გზის გამკაფავს, ინიციატორს.
2. ჩვენს ნორმ თაობას „პიონერი“ ეწოდა იმიტომ, რომ ამ თაობიდან იზრდებიან ახალი ცხოვრების მამაკო, გაბედული, მოწინავე მშენებლები, საბჭოთა სამშობლოს პატრიოტები, მისი გმირი დამტყველები.
3. 1924 წლის 23 მაისს.
4. 1922 წლის 12 თებერვალს, მოსკოვში ყოფილ მანესტოვის სტამბასთან არსებულ საფაბრიკოსაქარხნო სკოლაში.
5. სამი ბოლო პიონერული ყელსახვევისა ეს არის სამი ბოლშევიკური თაობის-კომუნისტების, კომკავშირელებისა და ნორჩი პიონერების ჭაფურჩის სიმბოლო.
6. 1946 წლის მაისში.
7. 1945 წლის 10 ივნისს, დავიდლივოზელ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით.
8. 1946 წლის 15 ოქტომბერს.
9. ა. გრიშაშვილი ლექსში „ბროლიის გმირებს, სწავლის გმირებს“. მუსიკა ამ ლექსზე დასწერა თამარ შავერზაშვილმა.
10. პეტრე კაპანაძემ.
11. 1147 წელს.
12. წინათ ქალაქ ლენინგრადს ეწოდებოდა სანკტ-პეტერბურგი, მას საფუძველი ჩაუყარა პეტრე I-მა 1703 წელს მდინარე ნევის დელტასთან.
13. ვასილ პეტრიაშვილი, მოსე ჯანაშვილი, ივანე თარხნიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, ანდრია რაზმაძე, ალექსანდრე ცაგარელი, ნიკო მარი, ივანე ჯაფარიშვილი, დიმიტრი ბაქრაძე.
14. ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნის გენიალური ათენელი მოქანდაკე.
15. ქეოფსის პირამიდა, სემირამიდის ბაღები, არტემისის ტაძარი, ოლიმპის ზეუსი, პალიკარნასის მავსოლინი, ფაროსის შუქურა და როდოსის კოლოსი.

16. 9 პლანეტა: მერკური, ვენერა, დედამიწა, მარსი, იუპიტერი, სატურნი, ურანოსი, ნეპტუნი, პლუტონი.
17. ყოველი საქმის თავი და ბოლო. ალფა ბერძნული ალფაბეტის პირველი ასოა, ომეგა—უკანასკნელი.
18. ადამიანის უნაყოფი, უსარგებლო, მიზანმიუღწეველი შრომა.
19. ადამიანის დაუსრულებელი ტანჯვა.
20. ვიტყვით ხოლმე არგუსის თვალიო, — ესე იგი მარად ფხიზელი თვალი, არგუსი—ფხიზელი დარაჯი.
21. 1840 წელს, ინგლისში.
22. ზონურ დროს ის უპირატესობა აქვს, რომ ყოველ მომენტში პოელი დედამიწის ზურგზე ყველა საათი ერთნაირად აჩვენებს მინუტისა და სექუნდის ერთსა და იმავე რიცხვს, გამსხვავება მხოლოდ ზუსტად საათებშია ზონის ნუმერაციის მიხედვით.
23. აქლემი უდაბნოს ცხოველია, მას უწოდებენ „უდაბნოს ზომალს“.
24. ფინიკიურ პალმასა და აქლემის ბალახის შესახებ.
25. პოლესტრიმი ინგლისურად ნიშნავს „უბნის დინებას“. იგი მექსიკის უბიდან იწყება და ატლანტის ოკეანეზე გავლით ჩრდილო ევროპისაკენ მიედინება. ეს სახელი ამ დინებას უწოდა ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა ბენამინ ფრანკლინმა.
26. „მცინარა ვირი“ ეწოდება გარეულ ფრიველს — ზამთარმჩეტს, ბინადრობს ავსტრალიაში.
27. ჟირაფს. მას კისერზე 8 სანტიმეტრის სისქის კანი აქვს.
28. პერკულესის სვეტები.
29. მილიონი დღე 27 საუკუნეზე მეტია.
30. XVII-XVIII საუკუნის ვიოლინოს სახელგანთქმული ოსტატის გვარი და აგრეთვე მისი ვიოლინობის სახელწოდება.

* * *

ღამთავრდა შურნალ „პიონერის“ გიტი-ხველთა თამაში „ვის გაიმარჯვებს?“

— შვიდ სერიაში სულ 110 კითხვა იყო მოცემული. ყველაზე მეტი ქულა შეაგროვეს შემდეგმა პიონერ-მოსწავლეებმა:

ლადო ხავთასმა (სოფ. ქანიოთი), ჯოტო ყვანიამ (ბაშა), ჯონდო გაფრინდამვილმა (სამტრედია), შალვა ლორთქიფანიძემ (ქუთაისი), გივი გურგუნიძემ (ქუთაისი), თამაზ ებანიძემ (ხაშური) და თამაზ პაიჭაძემ (ქუთაისი). სწორი პასუხები გამოგზავნიეს აგრეთვე ნიკო ხალაძემ (თბილისი), კომუნარ გაგუამ (ბაშა), გოდერძი სეფერთელაძემ (ჩოხატაური), თეიმურაზ ჩიტაძემ (თბილისი) და სხვებმა, მაგრამ მონაწილეობა მათ ყველა სერიის ამოხსნაში არ მიუღიათ.



ПИОНЕРИ

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ДЕТСКИЙ ЖУРНАЛ ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА ЛКСМ ГРУЗИИ
(на грузинском языке)

1946 год
Год издания 20-й

Издательство „Комунисти“

№ 10
ОКТАБРЬ

შ ი ნ ა ა რ ს ი

გალაკტიონ ტაბიძე — აღამიანი (ლექსი) გარეჯანის მე-2 გვ.	მიხეილ კეკელიძე — მურმანი (მოთხრობა)	12 "
რევაზ მარჯანი — ქართველი ბავშვების ბარათი ბერძას	დ. თურდოსპირელი — შოთას სინანული (მოთხრობა)	14 "
ელიზბარ პოლუმორდვინოვი — აკვანი (მოთხრობა)	გიორგი კაჭახიძე — რთველი (ლექსი)	16 "
ალეკო შენგელია — სიმღერა დიად ხუთწლიდზე (ლექსი)	ლეო ქიანელი — სიკოს ხვედრი ოქრო (ზღაპარი)	17 "
ვარლამ შურული — დედა და შვილი (ლექსი)	გრ. ჭელიძე — ქვის წიგნი (გეოლოგის საუბარი)	20 "
დ. მარიამიძე — არკადი გაიდარი (წერილი)	ს. გარბუჯოვი — ურალი-ოქრო მიწა (წერილი, დასასრული)	23 "
არკადი გაიდარი — ლაშქრობა (მოთხრობა)	პ. მეტრეველი — როგორ ატარებენ ცხოველები ზამთარს (ნორჩი ნატურალისტის კუთხე)	25 "
გ. ზარდალიშვილი — დიადი მშენებლობანი სამამულო ომის პერიოდში (რუკა მოგვიტხრობს)	სიცოცხლის ხანგრძლიობა	28 "
შ. თაბუკაშვილი — წუთის ფასი (მოთხრობა)	ნორჩ ავტორთა შემოქმედება	29 "
	დილის გამამხნევებელი ვარჯიში	30 "
	ვინ გაიმარჯვებს? (პასუხი VII სურათზე)	31 "
	გასართობი გარეჯანის მე-3 გვ.	33 "
	რთველი—ფოტომონტაჟი გარეჯანის მე-4 გვ.	33 "

გარეჯანზე მხატვარ ა. გიგოლაშვილის ნახატი „მზად ვართ!“


სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, აკად. ნ. ბერძენიშვილი,
შ. გვინიძე (პ/მგ. რედაქტორის მაგიერ), ან. დულარიძე, გ. ვარდაშვილი,
პროფ. გ. თავაშვილი, ს. კეცხოველი, პ. მეტრეველი, ნ. ნაკაშიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 28. ტელ. 3-81-85.

უცხოეთში: თბილისი 7000, გამომც. № 102, სტამბის შეკვეთა № 1660. ბერძას სახელობის კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28. უზრუნველყოფილია გადამცემი სახელგამის ცინკოგრაფიით.

გ ა ს ა რ თ ლ ბ ი

გ ე ო გ რ ა ფ ი უ ღ ი ჩ ა ი ნ ვ ო რ დ ი



1. სახელმწიფო აფრიკაში,
2. ქალაქი ფინეთში,
3. მდინარე სამხრეთ ამერიკაში,
4. რიცხვი,
5. თვე,
6. ქალაქი ბრაზილიაში,
7. მდინარე ციმბირში,
8. მხარე საქართველოში,
9. ქალაქი საქართველოში,
10. ქალაქი ციმბირში,
11. შტატი ამერიკის შეერთებულ შტატებში,
12. ავტონომიური ერთეული, საქართველოში,
13. ქალაქი ჩრდილო კავკასიაში,
14. ქალაქი ბელორუსიაში,
15. კუნძული ინდონეზიაში,
16. ძველი სოპოტის რედაქცია,
17. საფეიქრო მრეწველობის ცენტრი სსრ კავშირში,
18. ვულკანი სამხრეთ ამერიკაში,
19. ქალაქი აზერბაიჯანში,
20. საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრი,
21. გმირი ქალაქი,
22. სახელმწიფო ევროპაში.

შენიშვნა: ციფრთან დასმული სასვენი ნიშანი „მითმე“ გვიჩვენებს, რომ მის წინ მოთავსებულ სიტყვას აკლდება უკანასკნელი ასო.

პასუხი უბრალოდ „პიონერის“ მე-3, 4, 5, 6, და 8 ნომრებში მოთავსებულ გასართობ გამოცანებზე

ს ა კ რ ო კ რ ო ს ვ ო რ დ ი (№ 3)

1. ფრიდონი,
2. რილევი,
3. ილია,
4. არჩილი,
5. დარიკო,
6. ზოლა,
7. ელისა,
8. სერგანტესი,
9. წებოვანი,
10. ვეფხის ტყაოსანი,
11. ლერმონტოვი,
12. ამირანი,
13. ილილია,
14. გურამიშვილი,
15. ილიონი,
16. ვაჟა,
17. გრიშაშვილი,
18. მგრაი,
19. რაბინზონ კრუზო,
20. ოდისეუსი,
21. ბოროდინი,
22. ანდერსენი,
23. აბაშვილი.

აქედან მივიღებთ ლოზუნგს:

„ფრიადვე სწავლა იგივე გამოიბა“.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი (№ 5)

1. ცა,
2. ხმელითი,
3. ბუნება,
4. თვალთ.

რ ა მ ო შ ს ი № 1.

ახასულა ცაშით, ქარი უქრის თავშით.

რ ა მ ო შ ს ი № 2

ერთი აკლდა რვასათ, მიემატა ცხრასათ.

ს ა კ რ ო კ რ ო ს ვ ო რ დ ი (№ 6)

1. დიასამიძე,
2. იოსელიანი,
3. დანელია,
4. ესე-ბუა,
5. ბაქრაძე,
6. ქანთარია,
7. ადამია,
8. როსტომიშვილი,
9. თავაძე,
10. თვალთი,
11. ვამცემლიძე,
12. მთისურაძე,
13. ისიანი,
14. როსტომიშვილი,
15. ვედიშვილი,
16. ბუხაიძე,
17. სხულუხია,
18. ლესელიძე.

აქედან მივიღებთ ლოზუნგს:

„დიდება ქართველ გმირებს“.

გ ა მ ო ც ა ნ ა (№ 8)

„სჯობს სიცოცხლესა ნაძარასა, სიკვდილი სახელოვანი“.

ს ა კ რ ო კ რ ო ს ვ ო რ დ ი (№ 8)

1. ბეჩორა,
2. ინდუსტრია,
3. ობიექტივი,
4. ნატარტი,
5. ესტონეთი,
6. რუსთავი,
7. თაყა,
8. ინვენტარი,
9. ბულაჩიური,
10. ძრავი,
11. თენჯინა,
12. ლითონი,
13. ელექტროლოზი,
14. ავტომატქანა,
15. სრამპესი,
16. აზერბაიჯანი,
17. ირიგატია,
18. ურალ,
19. თბილისი,
20. წელიწადი,
21. ლენინ-

22. ფლევატორი,
23. დნეპროვსკი,
24. იმსტიტუტი,
25. სალიუტი,
26. შაქარი,
27. ექსპრესი,
28. სტალინგრადი,
29. რუხა,
30. უკრაინა,
31. ესკადრა,
32. ბრძედი,
33. ინჟინერი,
34. სტამბა,
35. ატომი,
36. თერმია,
37. ვოსნენსესი,
38. ირკუტსკი,
39. სუპერვოლტატი.

აქედან მივიღებთ ლოზუნგს:

„პიონერო, იბრძოლე ახალი ხუთწლედის შესრულებისათვის!“

გ ა მ ო ც ა ნ ა (№ 8)

თუ დავუშვებთ, რომ 8 პური სამივემ თანასწორად გაიყვეს, მაშინ თითოეულს შეეჭამია $\frac{8}{3}$ პური. აქედან ახმედმა თავისი ხუთი პურიდან მგზავრის წილად $5 - 8 = \frac{7}{3}$ პური გაიღო, იუსუფმა კი

თავისი სამი პურიდან $3 - \frac{8}{3} = \frac{1}{3}$ პური ამრიგად, ახმედმა შეიღვერ მეთუ უწილადა მგზავრს, ვიდრე იუსუფმა და ამიტომაც უნდა მიეღო შეიღვერ მეთუ. მაშასადამე, განაჩინა სწორება.

გ ა მ ო ც ა ნ ა ც ხ მ ნ ს ს ვ ლ ი თ (№ 8)

ნიკოლოზ ბარათაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი, გენატე ნინოშვილი, ილია ქვეციავაძე, აკაკი წერეთელი.

უბრალოდ „პიონერის“ მე-3, 4, 5, 6, 7 და 8 ნომრებში გამოქვეყნებული გამოცანები ამოხსნეს და პასუხი რედაქციას გააოქვზანეს შემდეგმა პიონერ-მოსწავლეებმა:

უწყუხა ცირეციქემ (ბათუმი), ვიქტორ მახათაძემ (სოფ. მეჯვრისხევი), ციციხე ბოტოველი (თელავი), იუსუფ ლვალაძემ (ჭიათურა), პენრიბ კარსანიძემ (თელავი), ლეილა კიყნაძემ (გორი), სოლომონ არაქელაშვილი (მცხეთა), ცისანა ვაჩიშვილი (გურჯაანი).

7/91

544/91

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ՍՈՑԻԱԼԻՍՏԻԿԱՆ
ՊԱՐՏԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ

